საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 169 (2283) ოთხშაბათი, 21 აგვისტო, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

ვარსკვლავის ბრწყინვალება

ნინო ანანიაშვილის ჩამო-ვლას ყოველთვის მოუთმენლად ის ხოლმე თბილისელი მაყუ-ბელი. ზაქარია ფალიაშვილის ხელობის ოპერისა და ბალეტის ხელმწიფო აკადემიური თეატრის ასადზე გამოკრული უზარმაზა-ი აფიშა კარგა ხანია ამცნობდა ზოგადოებრიობას ნინო ანანია-ვილისა და ბალეტის ვარსკვლა-ების მონაწილეობით კლასიკური ალეტის საღამოების გამართვის სახებ.

გუშინ თეატრი მაყურებელს ვერ ტევდა. ბალეტის მოყვარულნი ხურვალე აპლოდისმენტებით აჯი-ლდოებდნენ მსოფლიოში სახელ-ანთქმულ ბალერინას, რომელიც ასოდეს ივიწყებს მშობლიურ ალაქს, სადაც ეზიარა საბალეტო ელოვნებას.

ამჟერად ნინოს პარტნიორობას წევდა ალექსი ფადეეჩევი — მაღლესი კლასის შემსრულებე-ი, მოსკოვის დიდი თეატრის ემიერი. კლასიკური ბალეტის ალამოში მონაწილეობდნენ ტა-იანა ტერეხოვა — სანკტ-პეტე-ბურგის მარიინის თეატრის პრიმა-ალერინა და ნიკა ცისკარიძე — ოსკოვის დიდი თეატრის სო-ისტი, ასევე, — ჩვენი თეატრის აბალეტო დასი და ორკესტრი. ირიჟორის პულტთან იდგა სოფლიოში ერთ-ერთი საუკეთე-სო საბალეტო დირიჟორი მოს-ვის დიდი თეატრიდან ალექსა-დრე სოტნიკოვი.

ამჟამინდელი პროგრამა სამი ანყოფილებისაგან შედგება, პი-ველ განყოფილებაში ჩაიკოვსკის „ედის ტბის“ მეორე მოქმედება-ი ნინო ანანიაშვილმა (ოდეტა) ა ალექსი ფადეეჩევმა (პრინცი იგფრიდი) იცეკვეს. მეორე გან-ოფილებაში სამი ბალეტის ფრა-მენტი იყო ჩართული: ლევენს-ოლდის პა-დე-დე „სილფიდას“ ორე მოქმედებიდან. ტატიანა ერეხოვა — სილფიდა, ნიკა სკარიძე — ჯეიმსი; პროკოფიევის ადაჟიო „რომეო და ჯულიეტადან“ (კენეტ მაკმილანის დადგმა) ნინო ანანიაშვილი — ჯულიეტა, ალექსი ფადეეჩევი — რომეო; დებიუსის „ნარცისი“ (გალაზოვსკის ქორეოგრაფია): — ნიკა ცისკარიძე — ნარცისი; მესამე განყოფილება მინკუსის „დონ კიხოტის“ მესამე მოქმედებას დაეთმო, ნინო ანანიშვილი — ჩელიტა, ალექსი ფადეეჩევი — ბაზილი, ლალი კანდელაკი, ნინო ოჩიაური — ვარიაცია.

ბალეტის ვარსკვლავებმა უდიდესი სიხარული და აღმაფრენა განაცდევინეს მაყურებელს, ნინო ანანიაშვილსა და ალექსი ფადეეჩევს ღვთაებრიობა და ზეშთაგონება მოაქვთ ჩვენამდე თავიანთი საკრალური ხელოვნებით ჩვენთვის სიახლე იყო, და ამდენად, განსაკუთრებით საინტერესო, შეხვედრა ცნობილი ინგლისელი ბალეტმეისტერის კენეტ მაკმილანის სადადგმო ესთეტიკასთან ბალეტ „რომეო და ჯულიეტაში“.

გაგვახარა ნიკა ცისკარიძის წარმატებით გამოსვლამ მინდობილ პარტიებში. იგი მოსკოვის დიდი თეატრის დამწყები სოლისტია. მაგრამ მაინც შეიგრძნობა მძლავრი პოტენცია. მას თანაბრად აქვს განვითარებული ტექნიკაც და შინაგანი მგრძნობელობაც. ჩანს, რომ გრძნობა და ემოცია შიგნიდან მოდის. მას ყველაფერი უწყობს ხელს, სულ უფრო გაიზარდოს შემოქმედებითად და წინ წავიდეს, ტყუილად როდი უწოდებენ ნიკა ცისკარიძეს. ბალეტის სპეციალისტები დიდი თეატრის იმედს“

საბალეტო წარმოდგენის შემდეგ ძალიან ძნელად, მაგრამ ისევ ნინო ანანიაშვილის თანხმობითა და ნებით შევძელი მესაუბრა მასთან.

— **განსაკუთრებული მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ბატონები ზურაბ ლომიძე და გოგი ალექსიძე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მესვეურები, რომლებიც უდიდეს შრომას ეწევიან ქართული ბალეტის მდიდარი ტრადიციების ღირსეული პატრონობითა და ქომაგობით. ისინი თავდადებით ემსახურებიან ხელოვნებას და ჩვენი პატივისცემა და მადლიერება მათდამი სწორედ აქედან მომდინარეობს.**

უკვე თხუთმეტი წელიწადია, რაც მოსკოვის დიდ თეატრში ვარ. ამ ხნის განმავლობაში მიცეკვია ევროპის, ამერიკისა და კანადის თითქმის ყველა ცნობილ დასთან ერთად (ამჟამად ნინო მიწვეულია ნიუ-იორკის საბალეტო თეატრის პრიმა-ბალერინად. — გ. ლ.), **მაგრამ თბილისის სცენაზე გამოსვლა ჩემთვის ყოველთვის სანუკვარი და ამაღელვებელია.**

ძველად თბილისის სცენა ითვლებოდა საუკეთესოდ, ჭაბუკიანის დროს აქ მსოფლიო ვარსკვლავები ჩამოდიოდნენ. ჩემი უდიდესი სურვილია თბილისში ჩამოვიყვანო ჩემი მეგობრები — მსოფლიო ბალეტის ახლანდელი ვარსკვლავები. იქნებ ის ძველი დიდება და ბრწყინვალება მსურს დავუბრუნო თბილისის საბალეტო სცენას.

და კიდევ, 23-24 აგვისტოს თბილისელ მაყურებელს კვლავ აქვს შესაძლებლობა, მოწმე გახდეს იშვიათი საბალეტო ზეიმისა, რომელსაც ჩვენთვის მომაჯადოებელი ნინო ანანიაშვილი და ბალეტის ვარსკვლავები მართავენ.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ნინო ანანიაშვილისა და ნიკა ცისკარიძის ჭეშმარიტი, უხმაურო პატრიოტიზმი, უპირველესად, თავისი პროფესიისა და თავისი ქვეყნის მიმართ. ამ სამი საღამოს გამოსვლებში მიღებულ ჰონორარს ისინი მთლიანად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს სწირავენ.

გიორგი ლალიაშვილი.

სურათზე: ცეკვავს ნინო ანანიაშვილი.

გიორგი ცაგარელის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

ო. მხეიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის ყოფილი სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი **ომარ მხეიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

ვ. მაჭავარიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი **ვახტანგ მაჭავარიანი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

„მხედრიონის“ თარეში საქართველოში

გახმაურებული ტერორისტული აქტების ალმსრულებლების ზნეობრივ პორტრეტებს შემოგთავაზებთ ხვალ ალეკო ასლანიშვილი მორიგ წერილში

„უკეთური კაცის ცოდვა მისთვის ხაფანგია“,

ციკლიდან — „აფეთქება, რომლის ხმაც მსოფლიოს გადასწვდა“.

მკითხველთან პირისპირ —

მთავარია, გქონდეს ფული...

ამჟერად რედაქციაში სტუმრად საქართველოს ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე გვყავდა. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა დიდი დაინტერესება გამოიჩინეს. როგორც ჩანს, ყველას მაინც არ მიეცა საშუალება ამ ორი საათის განმავლობაში უშუალოდ გასაუბრებოდა მინისტრს, რადგან მისი წასვლის შემდეგაც რედაქციაში კარგა ხანს ისევ გვირეკავდნენ...

ვიდრე ამ შეხვედრის ვრცელი რეპორტაჟი გამოქვეყნდება, შეიძლება ვთქვათ, რომ მინისტრმა მრავალ საჭირბოროტო შეკითხვას გასცა პასუხი.

გიწვევთ

ტელეფონთან იქნება საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრი

27 აგვისტოს, 12-დან 14 საათამდე რედაქციაში ტელეფონით 99-05-29 შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრს თენგიზ გაზდელიანს. იგი პასუხს გასცემს თქვენთვის საინტერესო შეკითხვებს.

შეკითხვები და წინადადებები შეგიძლიათ ფოსტითაც მოგვაწოდოთ (მ. კოსტავას 14.).

„დაიმლერ ბენცი“ ჩვენთან

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო კომპანიების „დაიმლერ ბენცის“, „დაიმლერ ბენც აეროსპეისისა“ და „ჰუგო ბოსის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, პროფესორი, დოქტორი იოჰანეს ზემლერი.

შეხვედრაზე იმსჯელეს ჩვენი ქვეყნის კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტთან, აგრეთვე გერმანულ ავიაკომპანიებსა და „ორბს“ შორის ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის შემდგომი განვითარების პერსპექტივაზე.

შეხვედრას ესწრებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ნორბერტ ბაასი.

სოხუმი მზად არის

გუშინ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ მზადყოფნა გამოთქვა შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს. ვლადისლავ არძინბა დაეთანხმა ედუარდ შევარდნაძეს, რომ შეხვედრა არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ აუცილებელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პრობლემების გადასაწყვეტად. არძინბას განცხადებით, მან ყურადღებით შეისწავლა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 აგვისტოს განცხადება მოლაპარაკებების გაგრძელების თაობაზე.

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა განაცხადა, რომ სოხუმი მზად არის გააგრძელოს კონსტრუქციული მოლაპარაკებები კონფლიქტში მონაწილე მხარეების მიერ ადრე ხელმოწერილი დოკუმენტების სულისკვეთებით. „ნებისმიერი მცდელობა, განუდგეს საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობის პრინციპებს, რომლებიც ჩადებულია მასში, არ მოგვცემს დამატებით შედეგს“, — აღნიშნა ვლადისლავ არძინბამ.

ქრთამი გალსაც ანათებს

აფხაზურმა პოლიციამ გალის რაიონის სოფელ დიხაზურგადან მძევლად აიყვანა 20 მშვიდობიანი მცხოვრები, რომელთაც აფხაზურმა მხარემ ბრალი დასდო ამ დღეებში გალის რაიონის ტერიტორიაზე ცნობილი ტერაქტის განხორციელებაში. დაპატიმრებულთაგან 13 გამოსასყიდი თანხის აკრეფის შემდეგ გაათავისუფლეს, ხოლო 7 გადაყვანილია ქ. გალის იზოლატორში.

მიბაძეთ „მარტინ ბაუერს“

თუ ჩაის ფაბრიკები უახლოეს დღეებში ენერგეტიკოსებს არ გადაუხდიან ვალს, რომელიც დიდი ოდენობით დაედოთ მოხმარებული ელექტროენერგიისათვის, შეუწყდებათ ელექტროენერგიის მიწოდება. საქენერგოს მუშაკთა ამ მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, ჩაის ფაბრიკები შეიძლება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

20 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია 23 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, რაც ნაკლებია ამ პერიოდის შარშანდელ მაჩვენებელთან შედარებით. ჩამორჩნენ აჭარის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონების, ქალაქ წყალტუბოს ზონის მეჩაიეობის ფაბრიკები. კვლავინდებურად სტაბილურად მუშაობენ ის საწარმოები, რომლებმაც ხელშეკრულებები დაუდეს ქართულ-გერმანულ ფირმა „მარტინ ბაუერს“. ისინი მეჩაიეთაგან მხოლოდ მაღალხარისხოვან ფოთოლს იღებენ და ამუშავებენ პროდუქციას, რომელიც მაღალი ხარისხოვანი მაჩვენებლებით გამოირჩევა.

გორული ვაშლი გაგორდა...

საქართველო-გერმანიის ერთობლივმა საწარმო „ეკომ“ (გორის ხილის კონცენტრატების ქარხანა) გერმანიაში უკვე გაგზავნა 800 ტონა ვაშლის კონცენტრატი, რითაც შესრულდა 1995-1996 წლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებანი.

ჯერჯერობით — ორ რეგიონში

ახლადდაფუძნებულ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის გამგეობის პირველ სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმის საკითხებში, ფონდის გამგეობის თავმჯდომარემ თემურ ბასილიამ განაცხადა, რომ ფონდის შექმნა საქართველოს პრეზიდენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი.



სოციალური ინვესტიციების პროექტის განხორციელების ვადა 15 თვეს მოიცავს და პირველად გავრცელდება საქართველოს ორ რეგიონზე — თბილისსა და სამცხე-ჯავახეთზე.

ავთანდილ გუნია კვლავ აღიარეს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ავთანდილ გუნია არჩეულია რუსეთის ეკონომიკის მეცნიერებისა და სამართალმცოდნეობის აკადემიის წევრად.

მიუხედავად ასაკისა (ავთანდილ გუნია 80 წლისაა), იგი აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა.

ახალგაზრდობა და არავითარი პოლიტიკა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაცია გაიარა კიდევ ერთმა ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „მომავლის თაობა“. მან გააერთიანა 15 წლიდან 20 წლამდე ასაკის ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც საერთაშორისო სასწავლო პროგრამის მონაწილენი იყვნენ. ახალგაზრდებმა საშუალო განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში მიიღეს. ორგანიზაციას პოლიტიკური მიზანი არ ამოძრავებს, მაგრამ მისი მიზანია აქტიურად მონაწილეობდეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

„პატარა კუვეიტი“

„იბერიის“ ცნობით, აგვისტოს თვის პირველ დეკადაში გაზრდილია ნავთობის ნედლეულის მოპოვება. საშუალო დღიურმა მოპოვებამ 50 პროცენტით გადააჭარბა წლის პირველი ნახევრის მაჩვენებელს. საერთო მაჩვენებელი — 4.1 ათასი ტონა ნავთობი, 1000 ტონით, ანუ 32 პროცენტით აღემატება წინა დეკადის ანალოგიურ მონაცემებს.

ფოთში — მეტი, იმერეთში — ნაკლები

აგვისტოს თვის განვლილ პერიოდში ქ. ფოთში აწარმოეს 180 ათასი ლარის სამრეწველო პროდუქცია, ანუ 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე ივლისის თვის მეორე დეკადაში. ამავე პერიოდში გურიის მხარეში აღნიშნული მაჩვენებელი 29,4 პროცენტით გაიზარდა.

სამწუხაროდ, წარმოების მოცულობები შემცირებულია: ქ. ქუთაისში — 13 პროცენტით, ჭიათურის ზონაში — 45 პროცენტით, ზესტაფონის რაიონში — 14 პროცენტით, ტყიბულის ზონაში — 2-ჯერ.

„დერეფნის“ ახალი წახნაგი

ევროკავშირის „ტასისის“ პროგრამით მიმდინარე წელს დაგეგმილია პირველი სატვირთო-საკონტეინერო პილოტი მატარებლის გაშვება ფოთი-ბაქოს მონაკვეთზე. ასეთი მატარებლები პირველ ხანებში ივლის ორ კვირაში ერთხელ და ამ მანძილს 29 საათში დაფარავს.

ალოობა

გრძელდება ალოობა, 20 აგვისტოსათვის თავთავიანები მომკილია 108 ათას 800 ჰექტარზე. მიღებულია 164 ათასი ტონა ხორბლის მარცვლეული. გვალვას რომ არ ვეზარალებინეთ, მოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა, თუმცა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობამ მაინც 15 და მეტი ცენტნერი შეადგინა.

გუშინ...

ხელბურთი. თბილისის სპორტის სასახლე. მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შესარჩევი მატჩი. საქართველო-უკრაინა 23:25.

ფეხბურთი. მოლდე. უეფას თასის გათამაშების საპასუხო საკვალიფიკაციო მატჩი. „მოლდე“ (ნორვეგია) — „დინამო“ (თბილისი) 0:0. გათამაშების მორიგ ეტაპზე ორი შეხვედრის ჯამით თბილისის „დინამო“ გავიდა.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა — საქინფორმმა, იბერიამ, ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრმა და ჩვენმა საკუთარმა კორესპონდენტებმა.

უკანასკნელ საათს

გენერალ პულიკოვსკის ულტიმატუმი

გუშინ გენერალმა პულიკოვსკიმ გროზნოს მოსახლეობას მისცა 48 საათი ვადა, რათა დილიდან დატოვოს ქალაქი ფედერალური ჯარების მიერ მოწყობილი დერეფნით.

ფედერალური ჯარები ემზადებიან ქალაქის საავიაციო და საარტილერიო დაბომბვისათვის. თვით რუსეთის საიმიგრაციო სამსახურის სპეციალისტთა აზრით, ულტიმატუმით მიცემული დროის მანძილზე მოესწრება მხოლოდ 90 ათასის გამოსვლა. და განწირულ ქალაქში დარჩება 150-160 ათასი, უმრავლესობა დაჭრილები, მოხუცები, ქალები და ისინი, ვინც სარდაფებშია გამოკეტილი.

გროზნოში ჩავიდა ფედერალური ჯარების ჩეჩნეთის ჯგუფის სარდალი გენერალი ტიხომიროვი, მაგრამ მას ულტიმატუმი არ გაუუქმებია.

ულტიმატუმი წამოაყენეს ჩეჩენმა ბოევიკებმაც. მათ რუსეთის ჯარებს მოსთხოვეს სამ დღეში დატოვონ ჩეჩნეთის ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაიწყებენ საომარ მოქმედებას რუსეთის ჯარების წინააღმდეგ.

ჩეჩნები ემზადებიან ხანკალის სამხედრო აეროპორტის ასაღებად.

რაც მტრობას დაუნგრევია...

სოფელს ქართველები და ოსები აშენებენ

ცხინვალიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, სულ თხუთმეტიოდე წუთის სავალზე, ერთი ქართული სოფელია — ფრისი.

ყანები, ბაღები, სანახები, ხეხილი, სარწყავი არხი, სოფლის გორაზე საყდარი, ქვემოთ — მწვანეში ჩაფლული სახლები: თუმცა, კაცმა რომ თქვას, სადღაა სახლები! ძმათამკვლელი ომის დროს, როცა მტრობა და სიძულვილი ზეიმობდა, ქართველები ოსების სახლებს სწვავდნენ, ოსები — ქართველებისას.

დღეს ერთიც უსახლკაროდ დადის და მეორეც.

სოფელი უნდა აღორძინდეს, ქართველებმა და ოსებმა კვლავაც გვერდიგვერდ უნდა იცხოვრონ!

პირველ ეტაპზე, დამწვარი, დანგრეული და დაზიანებული ოთხი ქართველისა და ოთხი ოსის საცხოვრებელი სახლის აღსადგენად, საქართველოს ურბანიზაციას და მშენებლობის სამინისტრომ, შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციამ 100 ათასი ლარი გამოჰყო. სამშენებლო-სამუშაო ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციებს — სამშენებლო-სარემონტო კოოპერატივ „ნადეჟდას“, სააქციო საზოგადოება „მშენებელს“ და გორის მე-3 სამშენებლო ტრესტს (ხელმძღვანელები — იოსებ ჯოხაძე, ილია ლეჟავა, ვახტანგ ყანჩაველი) მიანდეს.

დროულად შედგა პროექტები, თითოეულ სახლზე ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია და ზაფხულის ერთ დღეს სოფელს სამშენებლო მასალებით დატვირთული ავტომანქანები, მექანიზმები და ტექნიკა მიადგა.

— პირველი საძირკველი აღიოზ თუაევის ნასახლარზე გაიჭრა და არც მასპინძელმა დააყოვნა — ღვინით სავსე ჭიქებითა და ცხელ-ცხელი ხაჭაპურებით გამოეგება მშენებლებს, საძირკველი დაალოცვინა...

საამო სანახავია დღეს თუაევების სახლი. სულ მალე მთელი ოჯახი დაბრუნდება და ახალმოსახლეობასაც იზეიმებს, სახლის მშენებლობა 16.589 ლარი დაჯდა.

ვარა მჭედლიძის ნახევრადდანგრეულ სახლს კედლები ამოუყვანეს, გადახურეს, იატაკი დააგეს. აქ ახლა ცხოვრება უკვე შეიძლება. სახლის ღირებულება 15.119 ლარია.

ზამირა კაბულოვას ერთსართულიანი სახლი კონფლიქტის დროს ფერფლად იქცა. კეთილსინდისიერად, მონდომებით იშრომეს მშენებლებმა — მშვენიერი სახლი ჩააბარეს პატრონს.

ლავრენტი თუაევის სახლი თავის დროზე ჯერ მიწისძვრამ დაანგრია, მერე კი ომმა. ქართველი ნათესავებით დახუნძლული ოსი კაცი ახლობლებმა შეიკედლეს, შეიფარეს და აჰა, მიაკითხეს მშენებლებმაც. ორსართულიანი სახლი ლამის თავიდან აშენდა, კედლები ამოიყვანეს, სართული შემოავლეს, გადახურეს, იატაკის ფიცარი შემოიტანეს. მადლობა „ნადეჟდას“ და მის თავკაცს იოსებ ჯოხაძეს!

დასრულდა პირველი რვა სახლის მშენებლობა. ხელისუფლებამ ფრისში სახლების მშენებლობისათვის კვლავ 100 ათასი ლარი გამოჰყო.

გურამ ფაშაკიძე,
„სრ“ სპ. კორ.



— ამას რა სჭირს, არ ვიცი, მაგრამ ტელევიზორთან რაღაც საერთო რომ აქვს, უეჭველია.

მხატვარი
თეიმურაზ ფაფერაშვილი

ზამთარი მაინც მოვა

უჩვეულო — მატარებლით მარაბდა-ახალქალაქი. მიზანი პროზაული, უფრო ზუსტად, — სურსათი ჩვენი არსობისა.

ზამთრისთვის მზადებაზე გვექნება ლაპარაკი, თბილისელთა მომარაგებაზე.

მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა, როგორც ბევრი სხვა რამ საქართველოში, 5 წლის განმავლობაში იყო და არც იყო, არ მოქმედებდა და მატარებლების შემადგენლობის ამოძრავების არც არანაირი პერსპექტივა არ ჩანდა: აქ კი არა, ტრადიციულ მიმართულებებზეც ჩარდახიანი ურმების აუჩქარებლობით მიიზლაზნებოდნენ მორიგი პატრიოტული აფეთქების შემდეგ სახელდახელოდ აღდგენილ ლიანდაგებზე, ან სულაც ზანაკად იდგნენ დაღლილი ქარავნებივით უკაცრიელ ადგილებში უსინათლობით ძალაწართმეულები.

მარაბდა-ახალქალაქი გაახსენდებოდა ვინმეს მაშინ?

ახლა გახსენებისა და აღდგენის დრო დადგა და — ცოტაც — წინ გახედვის, თუნდაც მოსალოდნელი ზამთრის ჰორიზონტამდე.

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით სათაურში ჩამოთვლილი ბატონები, მათთან ერთად რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩხაიძე, ახალქალაქის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელები ალექსანდრე მოვსესიანი და გივი შუღაროვი, თბილისის მერიის წარმომადგენლები მაინცდამაინც ახალქალაქში, მაინცდამაინც მატარებლით გაემგზავრნენ. არა მიმოხილვისთვის ადგილთა (მატარებელი ღამე მოძრაობდა და დასათვალიერებელი არაფერი იყო), არამედ ამოცანის პრაქტიკულისა გამო.

ჯერ ვთქვათ, რომ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ თითქმის შეუძლებელი შეძლო და რკინიგზის ეს ხაზი აღადგინა.

— ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მგზავრთა მიმოსვლის გაადვილებისათვის, არამედ პროდუქციის, უპირველესად, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწეული მოსავლის, ყველა სხვა ტვირთის იაფად გადაზიდვისათვის, რაც თავის მხრივ, აიაფებს მათს თვითღირებულებას, გარკვეულად იმოქმედებს თბილისის ბაზრების კონიუნქტურაზეც. — **ეს უკვე პასუხია შეკითხვაზე ახალქალაქში მივლინების მიზნის შესახებ, და ამბობს ამას გიორგი ქათამაძე, „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარე.**

ჰქონდა ამ მოგზაურობას პოლიტიკური მნიშვნელობაც, რადგან ამ სტაბილურ რეგიონში მაინც არ არის მარტივი და ცალფა ურთიერთობა. საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტების ამასწინანდელ ერთობლივ ვიზიტს ახალქალაქში, რომელიც ქართველთა და სომეხთა ძმური თანაცხოვრების დემონსტრაციად იქცა, კონკრეტული საქმეებისა და რაიონთან ცენტრის ურთიერთობის დინამიზაციით სჭირდება განმტკიცება: არა იმდენად პოლიტიკურ, რამდენადაც ეკონომიკურ ჭრილში.

თორემ ახლა ისეთი დროა, ნებისმიერი სეპარატისტი ჩაახობს ეროვნებათაშორისი განხეთქილების სოლს უმნიშვნელო საყოფაცხოვრებო, ეკონომიკურ თუ სოციალურ ბზარში, რომელიც კი შეიძლება გაჩნდეს აქ (ცხოვრება ცხოვრებაა), და იმდენი ურტყას, ურაპატრიოტული ურო, რომ დაპირისპირების რეალურ ნაპრალამდე გააფართოოს. ამის მსურველები, სამწუხაროდ, ყველგან არიან: აბა, სხვა რით უნდა გამოიჩინონ თავი!

ანეთ ხალხზე კარგად თქვეს იმ ვიზიტის დროს ახალქალაქელებმა: ეგენი ისეთები არიან, რომ დაიკარგონ, საკუთარ ოჯახებში არ მოიკითხავენო.

აი, ასეთებს ახალქალაქიდან ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (კარტოფილი, ხორცი, ყველი, თევზი) გამოტანის სიძნელეები ჰქონდათ ხელზე დახვეული.

— მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის ამუშავებით ყველა სიძნელე მოიხსნება, — **ამბობს გიორგი ქათამაძე,** — და მადლობა ამისათვის რკინიგზის დეპარტამენტს.

ჩვენ, „ცეკავშირი" ვალში ვართ მთელი ამ რეგიონის წინაშე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და რეალიზაციის ის გამოცდილება, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა, უნდა მთლიანად აღვადგინოთ...

— მაგალითად, რუსეთის დიდი ქალაქების ადრეული კარტოფილით მომარაგება?

— თუნდაც, ეს, რადგან დამზადებული ჭარბი პროდუქცია მარტო რესპუბლიკაში კი არ უნდა დატრიალდეს, გარეთაც უნდა გავიტანოთ, ამის მომგებიანობა დიდ მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს. ჩვენი პროდუქციის ექსპორტზე მყარი მოთხოვნილება არის, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე.

პრეზიდენტი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ადგილობრივ მოსახლეობას მოწეული პროდუქციის რეალიზაციით გაუჩნდეს სახსრები სხვა, მისთვის საჭირო მოხმარების საგნების შესაძენად, და, საერთოდ, სამცხე-ჯავახეთში ცხოვრების დონის ამაღლებისთვის ზრუნვას თბილისთან, სხვა რეგიონებთან ეკონომიკური ურთიერთობის ინტენსიფიკაციის გზით. ეს საქმე „ცეკავშირმა" უნდა იტვირთოს.

ლაპარაკია იმაზე, რომ ამ ზამთრისათვის დავამზადოთ 20-35 ათას ტონამდე კარტოფილი, 1.500 — 2.000 ტონა ხორცი, 600 ტონა ყველი და თბილისის მოსახლეობისათვის შემოვიტანოთ, თანაც, ბაზრის ფასებზე 10-15 პროცენტით იაფად. „ცეკავშირის" სავაჭრო ქსელმა რეალური კონკურენცია უნდა გაუწიოს ბაზარს.

— მაგრამ დამზადებისთვის გჭირდებათ ფული, რომელიც არა გაქვთ.

— ჯერჯერობით მართლაც არა გვაქვს იმ რაოდენობით, რამდენიც გვჭირდება. მაგრამ ეს პრობლემის ერთი მხარეა. ჩვენ ვაპირებთ დამზადებისადმი მიდგომის პრინციპის შეცვლას: — არა უკვე მოყვანილი მოსავლის შესყიდვა და შემდეგ გასაღება, არამედ ამ საქმეში თავიდანვე ფულის ჩადება, ფულის დახარჯვა იმ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, რომლებსაც მეურნე კაცი ეწევა, ტექნიკითა თუ სასუქებით მომარაგებაში, რაც აუცილებელია სრული სასოფლო-სამეურნეო ციკლისათვის. ამით, ჯერ ერთი, გლეხს უიაფდება პროდუქცია, მეორე, — მას ასპროცენტიანი გარანტია უჩნდება, რომ მოწეულ მოსავალს აუცილებლად იყიდის დამკვეთი მასთან დადებული კონტრაქტის საფუძველზე.

პრეზიდენტმა მხარი დაგვიჭირა, და ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი უკვე ეძებენ სახსრებს საიმისოდ, რომ შეღავათიანი პროცენტებით მოკლევადიანი კრედიტები მოგვცენ.

თუმცა ეს რაღაც განსაკუთრებულ შეღავათს არ გულისხმობს, ცივილიზებულ სესხებზეა ლაპარაკი, რომლის წლიური გადასახადი 3 პროცენტამდე იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს იაფად გავყიდოთ საქონელი.

— მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ცოტა სკეპტიკურად უყურებს „ცეკავშირს" — სანამ ფეხზე დააყენებთ, სანამ მუშაობას ააწყობთ, წავიდა დრო...

— იცით, არც ისე დანგრეულ-განიავებულია „ცეკავშირი", როგორც გარედან ჩანს. შენარჩუნებულია, მაგალითად, გადამამუშავებელი მრეწველობა, რომლის აღდგენას მალევე იგრძნობს ჩვენი მოსახლეობა, დავაკმაყოფილებთ საერთაშორისო ბაზარსაც, რომელსაც ჯერ კიდევ არ განელებია ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნილება.

საერთო ძალისხმევით მიმდინარეობს „ცეკავშირის" სისტემის რეაბილიტაცია, რაც კვლავ მეწარმეობის გამოცოცხლებას გამოიწვევს. მინდა ვუთხრა თქვენი გაზეთის მკითხველებს, რომ ამით წაგებული არავინ დარჩება, პირიქით, „ცეკავშირში" ჩადებული მანეთი, ორმაგ მოგებად დაუბრუნდება ყველას.

— თქვენ თქვით, რომ შენარჩუნებული გაქვთ მრეწველობა, მაგრამ შეინარჩუნეთ კი მეპაიეები, ხომ არ გაიფანტნენ ისინი სხვადასხვა კომერციულ სტრუქტურებში? არის კი ხალხი, ვინც თქვენს მიერ ჩამოთვლილი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს?

— ესე იგი, მასობრიობა? ამ, ხელოვნურად შექმნილი ფენომენით სცოდავდა კოოპერაცია: სოფლად, მოსწავლიდან დაწყებული, ექიმით დამთავრებული, ყველა კოოპერატორად ითვლებოდა.

ამჟამად პრეზიდენტის ინიციატივით მზადდება კანონი კოოპერაციის შესახებ, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, ესეც მოწესრიგდება. აქცენტი შედეგზეა გადატანილი, იმაზე, რისთვისაც არსებობს კოოპერაციული გაერთიანება, და არა მასობრიობაზე.

საქმის გამკეთებელი, მშრომელი, მეურნე ადამიანები კი ყოველთვის იყვნენ და არიან საქართველოში.

ახლა ბადრი შოშიტაიშვილს მოვუსმინოთ, თბილისის მერს, რომელსაც აქვს სათქმელი და თქვენც, იმედია, ინტერესით წაიკითხავთ მის ნაუბარს.

გასულ კვირას ჩვენს ეზოში, თბილისის ტრადიციულ უბანში, კარგა ხნის წინათ დავიწყებული, საკუთარი შესაძლებლობით რეკლამარებული საკუთარი პროდუქტის გამყიდველი გამოჩნდა, ჩია კაცი, თათარი:

— ქართოფილი, ქართოფილეე! — თავის მოწეულ კარტოფილს ყიდის, არაიმპორტულს, ჯანსაღს და გემრიელს.

ხუთი წელიწადია ფეხი არ შემოუდგამს ქალაქში. ხომ ვიცით, რატომაც ერიდებოდნენ თბილისს კავკასიური სხვა ეროვნებების პირები.

ახლა ჩამოვიდა და სხვაც ჩამოიყოლა:

— ქართოშკა, კართოშკა! — ასე იძახის ის მეორე.

თბილისური ყოფის ლოგიკას ვუბრუნდებით, მგონი.

— მეც ასე მგონია, რომ ჩვენი, როგორც თქვენ ამბობთ, „მოგზაურობა" ამ ჩვეულებრივობასთან დაბრუნებისკენ იყო მიმართული: გაწყვეტილი კავშირების აღდგენა, აღდგენილის განმტკიცება და განვითარება. თორემ ისე მეჩვენება, რომ ჩვენი მთავრობის წევრები ნაკლებად სტუმრობენ ამ უნიკალურ რეგიონს, რომელსაც განვითარების შესანიშნავი პერსპექტივა და პოტენციური შესაძლებლობა აქვს.

ადგილობრივი მოსახლეობა ისეთი სიხარულით შეგვხვდა, ყველგან ისეთი დაინტერესებით გვესაუბრებოდნენ, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რაოდენ აუცილებელია სამეურნეო და სოციალური ურთიერთობის გააქტიურება.

უჩვეულო მოგზაურობა თბილისიდან ახალქალაქში

თბილისის მერის ბადრი შოშიტაიშვილისა და „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარის გიორგი ქათამაძისა

შეხვედრები გვქონდა ახალციხის, ახალქალაქის გამგეობებში, დავათვალიერეთ ახალი საბაჟო, სადაც მუშაობის უკვე ფაქტობრივად სადღეღამისო რეჟიმია შემოღებული. ადრე, იცით ალბათ, რუსეთის მესაზღვრეების მოთხოვნით, მხოლოდ რამდენიმე საათს მუშაობდნენ. დღეს აქ გადამწყვეტი სიტყვა, მართვის სადავეები ქართველი მებაჟეების ხელთაა და ამით, მგონი, ყველა კმაყოფილია...

ახალციხისა და ახალქალაქის რეგიონებს დღეისათვის შეუძლიათ 30-40 ათასი ტონა კარტოფილი აწარმოონ, დიდი რაოდენობით — ხორცი და ყველი, აი, რეალიზაცია კი უჭირთ. ჩვენი მიზანი იყო ამ კვანძის გახსნა, და, მგონი, თავი დავადგით საქმეს.

რკინიგზის დეპარტამენტი გვარწმუნებს, რომ მისთვის ამ უბანზე არაფერი შეუძლებელი არ არსებობს — იქნება ეს მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოება, თუ ვაგონ-რეფრეჟირატორებით უზრუნველყოფა.

მთელი ამ პროდუქციის რკინიგზით ჩამოტანა თბილისში რეალურად შესაძლებელი საქმეა. ერთადერთი, რაც ადგილობრივ ხელმძღვანელობას ვთხოვეთ, ის არის, რომ აცნობონ მოსახლეობას ამ სიახლეთა შესახებ, რათა შარშანდელი ფაქტი არ განმეორდეს, როდესაც გაუსაღებელი დარჩათ საკმაო რაოდენობით კარტოფილი, რომელიც გაიყინა მინდორში.

ასე რომ არ დაეკარგოთ თავიანთი შრომის ნაყოფი, ალბათ, უპრიანი იქნება, გაყიდონ 20-30 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე თბილისის ბაზრებში ღირს. მაშინ ჩვენ უფრო დაინტერესებული და მონდომებულები ვიქნებით, გავიტანოთ ეს პროდუქცია რეგიონიდან. ამ შემთხვევაში ჩვენ მთლიანად გავიტანთ პროდუქციას. უმჯობესია და უფრო მომგებიანია, მეტი რაოდენობით წამოვიღოთ, ეს მათ მეტ სარგებელს მისცემს, ჩვენი კი ქალაქის მოთხოვნილებას დაგვიკმაყოფილებს.

— რაღაც ისე ჩანს, რომ თქვენ მხოლოდ ჩვენი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ჩახვედით. მათ რა, არა აქვთ პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაში თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ?

— აქვთ. სჭირდებათ, მაგალითად, ქვანახშირი, ანტრაციტი საკმაოდ დიდი რაოდენობით. ჩვენ — „ცეკავშირიც" და თბილისის მერიაც დავაკმაყოფილებთ ამ საწვავით. თბილისში მათი მოწეული მოსავლის გაყიდვით მიღებული ფულადი შემოსავალი შესაძლებლობას მისცემს იყიდონ შაქარი, სხვა სურსათი, რომლითაც ჩვენ მოვამარაგებთ, და ასე შემდეგ. მათთვისაც და ჩვენთვისაც მომგებიანი იქნება, თუ აქაური პროდუქცია გაიყიდება საქართველოშივე და არ გაედინება ჩვენს საზღვრებს გარეთ, როგორც ადრე ხდებოდა. ასე ვთქვით, სხვათაშორის, სომხეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუშიც, რომლის ჟურნალისტებიც ჩასვლისთანავე დაგვემგზავრნენ.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში თვალშისაცემ ცვლილებებზეც ილაპარაკეს მერმა და თავმჯდომარემ, იმაზე, რა დიდი მოცულობის სამუშაო ჩაატარა იქ გიგლა ბარამიძემ, რწმუნებულმა რეგიონში — ლარის „მოძრაობიდან" დაწყებული წყალსადენის გაყვანით დამთავრებული.

და ბოლოს — ყველაზე უფრო პოპულარული შეკითხვა საქართველოში: როდის? როდის შემოვა დაპირებული პროდუქცია თბილისში?

პასუხი: შემოდგომაზე, თანდათან, რადგან მთავარი ამოცანა მაინც ზამთრისთვის სურსათის მომარაგებაა.

შემოდგომამდე, ჰა და ჰა, ერთი კვირა დარჩა. ვერ ვხედავ ვერავითარ ნიშანს იმისა, რომ ან ბადრი შოშიტაიშვილმა ან გიორგი ქათამაძემ სიტყვა არ შეასრულონ.

ამას მოითხოვს წესიერების პრეზუმპცია.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე.

ოფიციალური ინფორმაცია

საქართველოს საზღვაო დარგის განვითარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს საზღვაო დარგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის საზღვარგარეთთან ეკონომიკურ ურთიერთობაში და მის ქმედითუნარიანობაზე ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარება.

ამასთან, ქვეყანაში ბოლო წლებში შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საზღვაო სანაოსნოს დეპარტამენტის საქმიანობაზე. დაბალია ნავსადგურების ტექნიკური აღჭურვის დონე და ქვეყნის საზღვაო სავაჭრო ფლოტის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე. საზღვაო დარგის მართვის სტრუქტურა და წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არ შეესაბამება საბაზრო ურთიერთობის მოთხოვნებს და სრულყოფას საჭიროებს. ირღვევა ზღვაოსნობისა და ნავსადგურებში უსაფრთხოების წესები. დასახვეწია მეკავშირე საწარმოებში საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მონაწილეობის ფორმები. ხშირ შემთხვევაში მიღებული შემოსავალი არ შეესაბამება დაბანდებული კაპიტალის მოცულობას. მცირდება ტვირთზიდვებისა და ტვირთბრუნვის მაჩვენებლები. კრედიტორულმა და დებიტორულმა დავალიანებებმა რამდენიმე ათეულ მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ქვეყნის საზღვაო ფლოტისა და ნავსადგურების ქმედუნარიანობის ამაღლების უზრუნველსაყოფად და მათი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვით მოწონებულია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დეპარტამენტის მიერ შემუშავებული და საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებული საქართველოს საზღვაო დარგის განვითარების 1996-2000 წლების პროგრამა, ამ პროგრამის რეალიზაციისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისრათ საზღვაო დეპარტამენტისა და დარგის საწარმოების ხელმძღვანელობას. ბრძანებულების თანახმად ერთმანეთისაგან გაიმიჯნა საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოსა და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ფუნქციები.

ფოთისა და ბათუმის სავაჭრო ნავსადგურების ხელმძღვანელობას დაევალათ, შეიმუშაონ ნავსადგურების 2010 წლამდე განვითარების პროგრამა, მისი რეალიზაციის შედეგად ძირეულად განაახლონ ნავსადგურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულად და დროულად გადაამუშაონ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ტვირთნაკადები, მიაღწიონ მოგების ზრდას ხარისხობრივად ახალი სიმძლავრეების შექმნისა და არსებულ სიმძლავრეებში დისპროპორციების აღმოფხვრის გზით. გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ პროგრამით დასახულ ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველყოფა მოხდეს საკუთარი სახსრებისა და საქართველოს და უცხოეთის ბანკების კრედიტების გამოყენებით, აგრეთვე ინვესტიციების მოზიდვით სათანადოდ შემუშავებული ბიზნეს-გეგმების საფუძველზე.

საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს დაევალა შეიტანოს სათანადო ცვლილებები საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებულ „მეზღვაურის წიგნაკის შესახებ დებულების გამოყენების წესებსა" და „მეზღვაურის წიგნაკის აღწერაში", აგრეთვე დაამტკიცოს საქართველოს საზღვაო დისციპლინური წესდება, დებულება საქართველოს საზღვაო ნავსადგურის კაპიტნის სამსახურის შესახებ, დებულება საზღვაო ინციდენტების გამოკვლევის შესახებ და დადგენილი წესით გაატაროს ისინი რეგისტრაციაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

საქართველოს საზღვაო დეპარტამენტმა შესაბამის სამინისტროებთან ერთად უნდა განსაზღვროს სავაჭრო ფლოტის გემების ამორტიზაციის პროგრესული ნორმები. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დადგენილი წესით ნება დაერთო მოახდინოს საექსპლოატაციო ვადაგადაცილებული, აგრეთვე 1980 წლამდე აგებული, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული, ეკონომიკურად ზარალიანი გემების რეალიზაცია და ამონაგები უცხოური ვალუტა გამოიყენოს მხოლოდ ახალი გემების შეძენისა და ექსპლოატაციაში მყოფი გემების შეკეთებისათვის.

ბრძანებულებით საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს დაევალათ უზრუნველყონ სახელმწიფო საწარმოების-საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, ფოთისა და ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურების დადგენილი წესით სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, ფოთისა და ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურების გარდაქმნის გზით შექმნილი სააქციო საზოგადოებების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების რეალიზაციის ვადები და წესები, აგრეთვე მათზე დარიცხული დივიდენდების წარმართვის მიმართულებები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით.

ბრძანებულებით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის ყოფილ სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკში ბლოკირებული საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის, ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის კუთვნილი სავალუტო სახსრების საკითხი, ინვესტორების გამოძებნა, მათ შორის საზღვარგარეთის შესაბამისი საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებიდან.

საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის ადგილსამყოფელად განისაზღვრა ქ.ბათუმი და მიზანშეწონილად არის მიჩნეული დეპარტამენტის სათანადო სამსახურის ფუნქციონირება ქ. თბილისში.

ძალადაკარგულად ითვლება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 მაისის №341 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის საზღვაო სანაოსნო დეპარტამენტის საქმიანობის სრულყოფისა და განვითარების შესახებ".

ქვემო ქართლის მხარეში აგრარული რეფორმის განხორციელების დამატებით ღონისძიებათა შესახებ

„ქვემო ქართლის მხარეში მიწის რეფორმის ე სპერიმენტის განხორციელების შესახებ" საქა თველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის აგვისტოს და საქართველოს პრეზიდენტის 19 წლის 11 თებერვლის ბრძანებულებებით გათ ლისწინებული მოთხოვნებისა და სოფლად ერთია აგრარული პოლიტიკის წარმატებით განხორ ელებისათვის მოწონებულ იქნა ქვემო ქართლ სამხარეო ადმინისტრაციის წინადადება მხარ მიწის რეფორმით გათვალისწინებული სამუშაოე დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებ მიზნით ქვემო ქართლის მხარეში სხვადასხვა უ ყებრივ დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო ურნეობები (გარდა მეთესლეობის, სანაშენ, ნერგე, საჯიშე, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ სელექციო, ჯიშთა გამოცდის, ექსპერიმენტულ, რეთვე თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინ ტროების დაქვემდებარებაში არსებული მეურნ ობებისა) გამოყვანილ იქნენ უწყებრივი დაქვემდ ბარებიდან და „მეწარმეთა შესახებ" კანონის შ საბამისად დაფუძნდნენ რაიონულ გამგეობათა მ

დაწესდა, რომ მხარის ტერიტორიაზე განლ გებულ სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწ რმოები გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმ ანობის შედეგებისათვის ანგარიშვალდებული არი შესაბამისი რაიონების სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოების წინაშე.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხ ლმძღვანელებს დაევალათ უზრუნველყონ საინვ ნტარიზაციო კომისიების ჩამოყალიბება მეურნ ობათა და ორგანიზაციათა ქონების ინვენტარ ზაციის, დატაცებული და განიავებული ქონებ გამოვლენის და მისი გამომწვევი მიზეზების დ დგენისა და აღმოფხვრისათვის.

„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ი რის შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნ შესაბამისად შექმნილმა კომისიებმა უნდა უზრ ნველყონ მმართველობის რაიონული ორგანოებ გამგებლობაში გადაცემული სასოფლო-სამეურ ნეო ტექნიკის, შენობა-ნაგებობათა და წარმო ბის სხვა ძირითად საშუალებათა გასხვისება.

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციას, მმ რთველობის ადგილობრივ ორგანოებს, საქართ ველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის ს მინისტროს, ეკონომიკის სამინისტროსა და ფ ნანსთა სამინისტროს მონაწილეობით დაევალათ ორ თვეში შეიმუშაონ წინადადებები აგროსამრე ველო სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაცი ბის სახელმწიფო დავალიანების, ფინანსური სა ნქციების განსაზღვრის, უპერსპექტივო საწარმ ებისა და ორგანიზაციების შემდგომი ფუნქციონ რების მიზანშეწონილობის შესახებ.

საქინფორმი.



დღევანდელობა

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა აუცილებელია

დღევანდელი საქართველო ნელ-ნელა მიემართება სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, თანდათან იხვეწება სახელმწიფოებრივი მართვის, მეურნე სუბიექტთა ეკონომიკურ-სამართლებრივი ურთიერთობები, მათი სტილი და ფორმები ცივილიზებულ იერსახეს იძენს.

მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთ მაგისტრალურ მიმართულებას საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ორგანიზება, მოქმედი საკანონმდებლო ბაზის შემდგომი განვითარება წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილების შესწავლასა და ჩვენი საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ამაღლებას მოითხოვს.

1994 წლის 18 იანვარს საქართველო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) წევრი გახდა, პარიზის კონვენციისა და საერთაშორისო საპატენტო კოოპერაციის შეთანხმების მონაწილე. ეს საშუალებას იძლევა, საქართველომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში გლობალური პოლიტიკის ფორმირებაში საერთაშორისო ორგანიზაციებისგან უსასყიდლოდ მიიღოს სხვადასხვა სახის საპატენტო ინფორმაციული მასალები, მათი მეშვეობით განახორციელოს კადრების მომზადება, საქართველოს მოქალაქეებმა ისარგებლონ საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებული პროცედურებითა და პრივილეგიებით.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გვესაუბრება საქართველოს საპატენტო უწყების თავმჯდომარე დავით ბაბუნია.

— ბატონო დავით, მიმდინარე წლის 3 ივლისს გამოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულება 26-30 ოქტომბრის თბილისში ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) საერთაშორისო რეგიონალური სემინარის ჩატარების შესახებ.

რამ განაპირობა ამ ღონისძიებისადმი განსაკუთრებული ყურადღება და რა პრობლემებს ეძღვნება იგი?

— ისმო-ს სემინარი მიძღვნილია დღევანდელობის ისეთ აქტუალურ საკითხებისადმი, როგორიცაა სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული დასახელებების დაცვა. სემინარის ჩატარების დღეებში დაგეგმილია ისმო-ს გენერალური დირექტორის დოქტორ არპად ბოგშის ვიზიტი თბილისში.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ისმო-ს და დასავლეთ ევროპის ქვეყნების (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) სპეციალისტები; დსთ-ს ქვეყნების საპატენტო სამსახურების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, ჩვენი ქვეყნის უწყებათა და საწარმოთა წარმომადგენლები.

— ცნობილია, რომ სასაქონლო ნიშნების გამოყენების კულტურა საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია. რა არის სასაქონლო ნიშანი და რა როლს ასრულებს თანამედროვე პირობებში?

— სასაქონლო ნიშანი ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია. იგი წარმოადგენს გამოსახულებით სიმბოლოს, რომელიც საქონლის ინდივიდუალიზაციისათვის იხმარება და მომხმარებელს საშუალებას აძლევს ადვილად განასხვაოს ერთმანეთისაგან სხვადასხვა საწარმოს მიერ გამოშვებული ერთნაირი სახეობის პროდუქცია.

სასაქონლო ნიშანი განსაკუთრებულ როლს განვითარებული წარმოების კონკურენციის პირობებში იძენს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთაშორისო ვაჭრობისა და საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებული ეკონომიკის განვითარებისათვის.

საყოველთაოდაა ცნობილი „ჯენერალ მოტორსის", „ფორდის", „კოკა-კოლას", „ფილიპ-მორისის" და სხვა სასაქონლო ნიშნები.

უმეტეს ქვეყნებში სასაქონლო ნიშანზე უფლებების მოპოვება მისი რეგისტრაციის საფუძველზე ხდება, რაც წარმოშობს ნიშნის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს მის გამოყენებაზე. იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ გამოყენება დანაშაულად მიიჩნევა, რასაც შესაბამისი სამართლებრივი სანქციები მოსდევს.

ძირითადად მომხმარებელი ნაკლებად ერკვევა ამა თუ იმ ტექნიკური სიახლის არსში და მისთვის საქონლის შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მწარმოებელი ფირმის პრესტიჟს აქვს, რომელიც სასაქონლო ნიშანშია განსახიერებული. მაგალითად, „კოკა-კოლას" სასაქონლო ნიშანი, ექსპერტების მიერ 3 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

სამწუხაროდ, დღეისათვის „საქპატენტში" სარეგისტრაციოდ შემოტანილი 12000 სასაქონლო ნიშნიდან, ადგილობრივ განმცხადებლებს მხოლოდ 600-მდე ნიშანი ეკუთვნის. აღსანიშნავია სასაქონლო ნიშანზე უფლებების დარღვევის შემთხვევებიც.

— თანამედროვე წარმოებისა და კომერციისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია გეოგრაფიული დასახელებების, ანუ საქონლის ადგილწარმოშობის სახელმწიფო დაცვა...

— „საქონლის ადგილწარმოშობა" — ქვეყნის, რეგიონის ან რომელიმე სპეციფიკური ადგილის გეოგრაფიული სახელია, რომელიც მითითებული გეოგრაფიული ადგილიდან წარმოშობილ პროდუქციას აღნიშნავს და თვისობრივი მახასიათებლები ამ გეოგრაფიულ გარემოსთან არიან დაკავშირებული. გეოგრაფიული დასახელებები ხშირად გამოიყენება ისეთი პროდუქციისათვის, როგორიცაა ღვინო, სხვადასხვა სასმელები (მინერალური წყალი, ლუდი, სპირტი, სიდრი), ყველი, თამბაქო, ჩაი და სხვა.

ჩვენი მოსახლეობისათვის კარგადაა ცნობილი გეოგრაფიული დასახელება „შამპანი", „კონიაკი", „როქფორი", „პილზენი", „ბორდო", „ჰავანა" და სხვა.

ამჟამად მთელ რიგ ქვეყნებში მოქმედებს გეოგრაფიული დასახელებების დაცვის სპეციალური კანონმდებლობა.

1958 წელს მიიღეს საერთაშორისო ხელშეკრულება „ლისაბონის შეთანხმება", რომელიც გეოგრაფიული დასახელებების საერთაშორისო რეგისტრაციას ითვალისწინებს.

ბოლო წლებში ევროპის გაერთიანებამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები გამოსცა.

— გეთანხმებით, როცა მომხმარებელს სურს შეიძინოს „ხვანჭკარა" და უნდა გადაიხადოს შესაბამისი თანხა, დარწმუნებული უნდა იყოს, ბოთლში მართლაც „ხვანჭკარაა" და არა რაიმე სუროგატი. ალბათ, იგივე შეიძლება ითქვას „ბორჯომის" წყალზე, „ალვანის" ყველზე...

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გთხოვოთ, ორიოდე სიტყვით „საქპატენტის" საქმიანობაზეც გვესაუბროთ.

— „საქპატენტის" ამოქმედებას 4 წლის წინ რთული და ხანგრძლივი მუშაობა უძღოდა, სამრეწველო საკუთრების შესახებ საკანონმდებლო აქტების მომზადებისა და მიღების სახით. განვლილ პერიოდში ჩვენს მიერ შემუშავდა და სამოქმედოდ მივიღეთ 30-ზე მეტი დებულება, ინსტრუქცია და წესი. „საქპატენტის" მიერ უკვე გაცემულია რამდენიმე ათასი დამცავი დოკუმენტი გამოგონებაზე, სასაქონლო ნიშანზე და სამრეწველო ნიმუშზე.

წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა „საქპატენტის" მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირების, ავტომატიზებული სისტემის შექმნისა და დანერგვისათვის. უკვე შექმნილია და ექსპერტიზაში გამოიყენება სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზა.

გამოიცემა სამენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური) სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი. ვემზადებით როგორც უცხოელი, ისე ჩვენი ავტორების ინტელექტუალური საკუთრების საკითხებზე მაღალპროფესიული ნაშრომების გამოსაცემად. დიდი ყურადღება ექცევა კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს. 40-ზე მეტმა ჩვენმა თანამშრომელმა სტაჟირება რუსეთის, შვეიცარიის და ევროპის საპატენტო უწყებებში, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში გაიარა.

ამჟამად მომზადებულია და პარლამენტში განსახილველად გადაცემულია საქართველოს საპატენტო კანონი. მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული დასახელებების შესახებ. აღნიშნულმა კანონებმა უნდა შეცვალოს ამჟამად მოქმედი მინისტრთა კაბინეტის მიერ დამტკიცებული დებულებები „გამოგონების", „სამრეწველო ნიშნების" და „სასაქონლო ნიშნების" შესახებ.

საქართველომ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის ამოქმედების გზაზე, მაგრამ წინ კიდევ მრავალი მნიშვნელოვანი და რთული ამოცანაა გადასაწყვეტი, რადგან ჩვენმა ქვეყანამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ცივილიზებული ქვეყნების თანამეგობრობაში.

ესაუბრა
ლელა დონაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განახლება

ას მსოფლიო ძეგლთა შორის ფიტარეთიც არის!

ზარშან „ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო ზაბჭოს“ დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით „მსოფლიო ძეგლთა ფონდმა“ შეიმუშავა ახალი ვრცელი პროგრამა მსოფლიო ძეგლთა ზედამხედველობისადმი. პროგრამის ძირითადი მიზანია შეარჩიოს ასი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საფრთხეში მყოფი ძეგლი და დაეხმაროს მათი გადარჩენის საქმეს.

ხუთი წლის განმავლობაში შედგება ყოველწლიური ასეთი სია, რათა ფინანსური დახმარება გაეწიოს შერჩეულ ღირსშესანიშნაობებს.

ახალ პროგრამაში ქართული ხუროთმოძღვრული ნაგებობაც არის.

მცირე ექსკურსი: „მსოფლიო ძეგლთა ფონდი“ კერძო, არაკომერციული ორგანიზაციაა. იგი დაარსდა ამერიკაში 1965 წელს არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით.

ამ ფონდის ერთ-ერთი პირველ პროგრამა წაფერდებული პიზის კოშკის გადარჩენაა.

ისტორიული ძეგლებისადმი ასეთი გულისხმიერება და მზრუნველობა, უდაოდ საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეა.

აი, ამ ფონდს დაუკავშირდნენ ჩვენი სპეციალისტები. შეირჩა სამი ძეგლი ფიტარეთი, ორბელის ციხე (ლეჩხუმი), კორტის დარბაზული ეკლესია (რაჭა). ერთი თვის განმავლობაში იმუშავა მრჩეველთა კომისიამ პროექტების შეფასებასა და შერჩევაზე, და საბოლოოდ 70 ქვეყნის 250 პროექტიდან შეირჩა 100 ძეგლი 56 ქვეყნიდან, მათ შორის ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსი საქართველოდან.

WORLD MONUMENTS WATCH
100
MOST ENDANGERED SITES 1996

პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელია მერაბ ბოჭოიძე, ახალგაზრდა, ნიჭიერი არქიტექტორი, ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ინფორმაციისა და პოპულარიზაციის სამმართველოს უფროსი. მისმა პროექტმა უცხოელი ექსპერტების საუკეთესო შეფასება დაიმსახურა და რეკომენდირებულია განხორციელებისთვის.

— თავდაპირველად მინდა აღვნიშნო, რომ „მსოფლიო ძეგლთა ზედამხედველობა“ არის „მსოფლიო ძეგლთა ფონდის“ ყველაზე მასშტაბური და გრძელვადიანი პროგრამა, რომელსაც აქტიური პოპულარიზაცია გაეწევა მთელ მსოფლიოში, — თქვა პროექტის ავტორმა. რაც მთავარია, ეს არის საქართველოში პირველი შემთხვევა, როდესაც კონკურსზე წარდგენილი პროექტის საფუძველზე, ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლის რესტავრაციას გამოეყო გრანტი საერთაშორისო პროგრამიდან.

— ასძეგლიანი სიიდან ასივეს?

— არა, დამტკიცებული სიიდან მოხდა კიდევ ერთი შერჩევა დასაფინანსებელი პროექტებისა. ჩვენ მათ შორის აღმოვჩნდით.

პროგრამის ძირითადი სპონსორები არიან „ამერიკის ექსპრეს კომპანია“ და „სამეულ კრესსის ფონდი“.

ფიტარეთს პირველ ეტაპზე 20 000 დოლარი გამოეყო, ეს დიდ წარმატებად მიგვაჩნია, თანაც გრანტის გამოყოფა მოხდა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ისევე, როგორც გერმანიისთვის, საფრანგეთისთვის, და წარმოიდგინეთ თვით ამერიკის შეერთებული შტატებისთვის.

გრანტები მიიღეს აგრეთვე რუსეთმა და უკრაინამ.

პროექტის ავტორთან საუბარში გაირკვა, რომ პირობებისდა მიუხედავად, გათვალისწინებულია არა მარტო არქიტექტურული ძეგლის ფიზიკური გადარჩენა, არამედ მონასტრისა და მისი ლანდშაფტური გარემოს ყოფითი და სულიერი ფაქტორების აღდგენაც. მსოფლიო ძეგლთა ფონდის ეს პროგრამა, ისევე, როგორც სხვა საერთაშორისო პროგრამები, ორმხრივ თანამშრომლობაზეა განსაზღვრული და ფონდის მიერ გრანტირებული პროექტის წარმომდგენი ქვეყნების ორგანიზაციებისა და საზოგადოების პროგრამის რეალიზაციაში აქტიურ ჩართვაზეა აქცენტირებული.

— ეს ყველაფერი მაინც ზოგადად. ცოტაოდენი თვით ფიტარეთზეც ვუამბოთ მკითხველს?

— ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსი მდინარე ხრამის შენაკადის ლამაზ ხეობაში მდებარეობს, იგი შემაღლებულ ბექობზე დგას და ირგვლივ ხშირი ტყით დაფარული მთებით არის გარემოცული.

სამონასტრო კომპლექსის დომინანტის — ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აგების თარიღი, XIII საუკუნის დასაწყისი, საქართველოში განვითარებულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება. ეს არის ისტორიული პერიოდი, როდესაც ფეოდალური სისტემა თავის სრულ გაძლიერებას აღწევს, ხოლო საკულტო ხუროთმოძღვრება განვითარების ყველაზე დასრულებულ, თანამიმდევრულ და ნათელ სურათს წარმოაჩენს. და ამ პერიოდში საქართველოში აგებულ თითქმის ყველა გუმბათოვან ტაძარს მაშინდელ ვითარებაში ზოგადეროვნული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მათ შორის, ფიტარეთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიასაც, რომელიც აუგია საქართველოს მეფეთა-მეფე გიორგის 1213-1222 წლებში. ნაგებობა დახვეწილი ფორმებით გამოირჩევა და ქართულ ცენტრალურ-გუმბათოვან ეკლესიათა ჯგუფის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია. მისი ფასადებისა და გუმბათის ყელის ორნამენტაციის მრავალფეროვნება და შესრულების არტისტიზმი ფრიად მაღალ დონეზეა. ფიტარეთის ტაძრის მთელი შიდა სივრცე დაფარულია კედლის მხატვრობით: ფრესკები, რომლებიც ქართული ხელოვნების ცალკე თემას წარმოადგენს, ამჟამად ძალზე დაზიანებულია და ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ტაძრის ინტერიერში დაცულია ისტორიული ცნობების შემცველი რამდენიმე საფლავის ქვა.

ფიტარეთის ტაძარი უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდან იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას; სამეცნიერო ლიტერატურაში მასზე მრავალი მასალა არსებობს. ისტორიული წყაროების მიხედვით XVII-XVIII ს-ის დასაწყისში ფიტარეთი საკმაოდ ძლიერი მონასტერი ყოფილა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი საეკლესიო პირები. გამუდმებულ შემოსევათა გამო 1731 წლიდან მონასტერმა მოქმედება შეწყვიტა და აქედან მოყოლებული, უპატრონოდ დარჩენილი კომპლექსი თანდათან ნადგურდებოდა: დაინგრა სამრეკლო, სამეურნეო ნაგებობა და გალავნის ნაწილი, ძლიერ დაზიანდა ტაძრის გადახურვები, არქიტექტურული კონსტრუქციები და გუმბათის ყელი.

ფიტარეთის კომპლექსის ფიზიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 1988 წლის 7 დეკემბრის მიწისძვრამ, ამ დროს ძლიერ დაზიანდა ტაძრის თითქმის ყველა კონსტრუქციული ელემენტი, ხოლო გუმბათის ყელმა ავარიულობის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია.

ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ განხორციელდა სარესტავრაციო სამუშაოების ნაწილი, ფიტარეთის ტაძრისა და სამრეკლოს მდგომარეობა კვლავ ავარიულია და გადაუდებელ ყურადღებას მოითხოვს.

ამიტომაც, ფიტარეთის მონასტრისთვის გამოყოფილი საერთაშორისო გრანტი ფრიად დროულია. როგორც აღვნიშნე, ეს ამ პროგრამის საწყისი ეტაპია, ხოლო მისი საბოლოო განხორციელება, ასევე მომავალში ამ პროგრამაში სხვა პროექტებით მონაწილეობაც, პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა მხარდაჭერითა და მონდომებით ჩაერთვება ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვის ამ გეგმაში სახელმწიფო, ადგილობრივი ხელმძღვანელობა და, საერთოდ, საზოგადოებრიობა.

საკონსერვაციო სამუშაოებს სექტემბრიდან დავიწყებთ.

ნანა ღვინეფაძე.

* * *

სურათზე: იკომოსის აფიშა; დეტალზე ფიტარეთის ტაძარი. ჯაბარ ლომაძის ფოტო.



განსჯა

დიდი გზა ოთარ კვანტრიშვილისა

ცოცხალი რომ ყოფილიყო, შეიძლება მას პრეზიდენტის ინაუგურაციაზე შევხვედროდით

1.

ეს არ არის წარსული.

ეს არის ცხოვრება.

ჩვენი უცნაური ცხოვრება, რომელშიც ყველაფერი ისეა არეულდარეული და ერთმანეთში გადახლართული, რომ ზოგჯერ გეჩვენება, თითქოს კი არ ცხოვრობ, არამედ უცნობი დრამატურგის პიესაში თამაშობ, სადაც დავალებული გაქვს სხვა პერსონაჟებს შეხვდე შენი ნება-სურვილის გარეშე.

ასე მომივიდა მეც. თუმცა ამირან და ოთარ კვანტრიშვილები ვაგანკოვოს სასაფლაოზე, საპატიო ადგილას, ვისოცკის გვერდით განისვენებენ, მათი აჩრდილი დღესაც დასტრიალებს თავს ქვეყანას ვ. ი. ლენინის მსგავსად, რომლის საქმეც, მოგეხსენებათ, მარად ცოცხლობს.

ყოველ შემთხვევაში, სულ ცოტა ხნის წინათ, საღამოს, მოსკოვის ცენტრში ჩემთან მოვიდა არცთუ ახალგაზრდა კაცი, როგორც მომეჩვენა ყოფილი სამხედრო, გამიხმო განზე და ხმადაბლა მითხრა:

— მე „ინტურისტში“ ვმუშაობდი... ყველაფერი ვიცი ოთარის შესახებ... შემიძლია გიამბოთ... მხოლოდ მოწმეების გარეშე...

— რაღაც ხომ არ გეშლებათ. იქნებ ანზორს გულისხმობთ? — ვკითხე მე, რადგან ბუნებრივია, ვიფიქრე, რომ ჩემი ქუჩის ნაცნობს მკვდარი ოთარის კი არ ეშინია, არამედ მისი მემკვიდრისა მძლავრი იმპერიიდან (ყოველ შემთხვევაში, თავად მემკვიდრე ამაში დარწმუნებულია) ცოცხალი ანზორ კიკალიშვილისა, რომელიც დღეს სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ პრეზიდენტია...

— არა, არა, კაცო, ოთარს... — გაიმეორა მან.

ჩემი ტელეფონის ნომრები მივეცი. არ დამირეკა.

თუმცა, რამდენჯერ ყოფილა წინათაც, როცა ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ რაღაც ეამბნათ, ან არ მოდიოდნენ მათ მიერვე დანიშნულ შეხვედრაზე, მათ მიერვე დანიშნულ დღეს, ან სამუდამოდ იკარგებოდნენ.

კეთილი. მე გიამბობთ იმას, რაც ვიცი და რისი მოწმეც ვარ. გიამბობთ არა იმიტომ, რომ მსაჯული გავხდე კაცისა, რომელსაც 1994 წლის აპრილში სიცოცხლე მოუსწრაფა სნაიპერის ტყვიამ.

უბრალოდ მინდა გავერკვე, რა ხდება ქვეყანაში, რომლის გმირებიც ხდებიან ადამიანები, რომელთა საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალმა, ან — უფრო მეტი — რომელთა პოლიტიკურ სცენაზე გამოჩენამ, ზოგი გააოგნა, ზოგს ნიშნის მოგებით ათქმევინა, რაო, ბატონო დემოკრატებო, გეტირათ ყოფაო? და ბოლოს, დაუმარცხებლობის რწმენა შეჰმატა იმათ, ვინც ფიქრობს: კაპიტალის დაგროვების პირველმა პერიოდმა (რეკეტერობიდან — კომპანიის პრეზიდენტობამდე) ჩაიარა და ახლა დროა პოლიტიკური ძალაუფლებაც აიღონ ხელში.

2.

დავიწყე ჩვენი პირველი შეხვედრით, რომელიც შედგა 1990 წლის გაზაფხულზე, თუმცადა ოთარზე წინათაც ბევრი რამ მსმენოდა. ყოველ შემთხვევაში ჯერ კიდევ 70-იანი წლების დამდეგს მოსკოვის ერთ-ერთ ხმაურიან კომპანიაში აღმოვჩნდი (რომელშიც, როგორც ჩვენთან ხდება ხოლმე, ყველა ძალზე სწრაფად ეცნობა ერთმანეთს, რათა ზუსტად ასევე უმალ დაივიწყონ ერთმანეთი ახალ, შემთხვევით შეხვედრამდე), იქ გავიცანი ადამიანი, რომელიც როგორც მისგანვე გავიგე, არ ვიცი წერილმანი „ფარცოვშჩიკი“ იყო, არ ვიცი „მსხვილმანი“. ანტიკვარი. მოკლედ, ამ კაცმა დაიწყო ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ სურს ოთარს ფეხქვეშ გაიგდოს მთელი მოსკოვი და ყველაზე მაგრებიც კი, რომლებსაც საერთოდ არაფრის არ ეშინიათ, მათ შორის, ბუნებრივია, არც მილიციისა. ოთარს მტრობენ, მაგრამ ეშინიათ მისი. მისი ნაამბობიდან მივხვდი, რომ მაინცდამაინც თბილი გრძნობები არც თავად ამოძრავებდა, მაგრამ მის ხმაში ისიც იგრძნობოდა, რომ აღიარებდა ოთარის ძალას, რომელიც იმ დროში მხოლოდ პოლიტბიუროს წევრებს თუ ჰქონდათ.

დიახ, ეს ჯერ კიდევ 70-იანი წლების დამლევს იყო.

პირისპირ ერთმანეთს 90-იანი წლების დამდეგს შევხვდით.

გახსოვთ? უკვე დამთავრებული იყო დემოკრატიის გაზაფხული, ჩვენთვის იმით სასიხარულო, რომ შეგვეძლო წაგვეკითხა წიგნი, რომლის წაკითხვასაც ვოცნებობდით, გვენახა თაროზე წლობით შემოდებული ფილმი, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაგვდგომოდა საყოველთაო მასკარადის ეპოქა, რომელშიც დღეს ვმონაწილეობთ.

1990 წელი მიტინგების და პრეზენტაციების წელი იყო.

არ ვიცი პრესის დაცვისა იყო თუ ჟურნალისტების მხარდაჭერის მორიგი ფონდის, მაგრამ ერთ-ერთი ასეთი ფონდის პრეზენტაციაზე დაჟინებით მეპატიჟებოდა იმ დროისათვის ცნობილი ტელეჟურნალისტი ვლადიმერ მ. „დაჟინებით“-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ დღეში ერთი ათჯერ მაინც მირეკავდა, უნებლიედ რომ არ დამვიწყებოდა: „საღამოო, რესტორანი „პრაღაო“, მესამე სართულზეო, აუცილებლადო“.

და როცა დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილზე მივედი, გავოცდი, ისეთი სიხარულით შემხვდა ვლადიმერ მ. (რომელსაც, უნდა გითხრათ, შორიდან ვიცნობდი), მაგრამ გულუბრყვილოდ ვიფიქრე, რომ მისი დაჟინებული მოწვევა პრეზენტაციაზე, ჩემთან შეხვედრის სიხარული იმით იყო გამოწვეული, რომ მაშინ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი ვიყავი და ახალგაზრდა კაცს უბრალოდ სჭირდებოდა ვიღაც დეპუტატი ყოფილიყო აქციაზე, რომელსაც იგი მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

დიახ, ხალხმრავლობა იყო. აქაიქ გაიელვებდნენ ნაცნობი სახეები, ისმოდა უცხოური მეტყველება. დარბაისელი „პრაღელი“ ოფიციანტები აპერიტივს გვაძალებდნენ...

თითქმის ზუსტად შემიძლია გავიხსენო, როდის მოხდა ეს ყველაფერ... რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება რუსეთის კანონებს უპირატესობა მიენიჭოთ საკავშიროსთან შედარებითო (ვიღაცას კი დაუჩემებია: „გორბაჩოვი, გორბაჩოვი...“, „ბელოვეჟის ტევრი, ბელოვეჟის ტევრი...“) და რუსი დეპუტატები ამის გამო თითქმის სექსუალურ აღტყინებას განიცდიდნენ. იქვე, „პრაღაში“, რუსეთის ერთ-ერთმა დეპუტატმა გამაოცა, როცა განსაკუთრებული მნიშვნელობით განაცხადა: „ხვალ პარიზში მივფრინავ... პირველად რუსეთიდან“... რაზეც ბუნებრივია ვკითხე დეპუტატს, სხვათა შორის ცნობილ ჟურნალისტს „საშა, წინათ რა, ევენკეთიდან მიემგზავრებოდა ხოლმე?“ მას რატომღაც ეწყინა...

მერე კი დარბაზის კარი გაიღო და აპერიტივით შეხურებულმა სტუმრებმა დიდებულად გაწყობილ სუფრას მიაშურეს, როგორც იყო ხოლმე იმდროინდელ პრეზენტაციებზე.

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისთვის დამახასიათებელია ის, რომ პოლიტიკოსები იწყებენ ქურდობას, ქურდები კი პოლიტიკურ საქმიანობას.

ვლადიმერ მ-მ სადღაც სუფრის თავში დამსვა, საკავშირო დეპუტატთა კორპუსელ კოლეგებს, როგორც დღემდე მახსოვს, ვალერი კუჩერსა და ვიქტორ ლუგინს შორის. ჩემს პირდაპირ ორი ადგილი თავისუფალი რჩებოდა, რისთვისაც მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია.

უკვე ვლადიმერ მ-მ წარმოთქვა რაღაც პირველი საზეიმო სიტყვები, რომელიღაც სტუმართაგანმა ასევე რაღაც საზეიმო თქვა, რომ დარბაზის კარი გაიღო და აუჩქარებელი ნაბიჯით მაგიდებისაკენ გამოემართა ორი წარმოსადეგი ქართველი.

— ესენი ჩვენი სპონსორები არიან!... — სიხარულით მაუწყა ვლადიმერ მ-მ. — კომპანია „XXI საუკუნე“...

მაშინვე მივხვდი, რა ფონდიც იყო ეს, რას წარმოადგენდა ეს კომპანია და ვინ იყვნენ ეს სპონსორები, ამიტომ უცბად სევდამ შემიპყრო და მარტოდ ვიგრძენი თავი.

აღარც კი გამკვირვებია, როცა ვლადიმერ მ. მაგიდიდან წამოხტა, სპონსორებს ხელკავი გაუკეთა და ორ თავისუფალ ადგილამდე მიაცილა. ისინი ჩემს პირდაპირ დასხდნენ.

შემდეგ კი ოთარმა სადღეგრძელო თქვა, რომლის გამოც მაგიდებთან მსხდომმა სტუმრებმა მზერა მე მომაპყრეს.

სადღეგრძელო ასეთი პრეზენტაციისათვის, რამდენადმე უჩვეულო იყო და ამიტომ იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით მახსოვს.

— აი აქ ზის... — მან სახელითა და გვარით მომიხსენია. — აი სულ წერს: „მაფია, მაფიაო“. მაგრამ, მოდით გავარკვიოთ, რა არის მაფია? ის, რაც მას თავად ჰგონია?..

შემდეგ კი რაღაც სულმთლად არნახული რამ თქვა: ილაპარაკა ვიღაც სპორტსმენებზე, ვისი შეფობაც იკისრა. იმაზე, თუ როგორ უჭირთ ცხოვრება, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა დიდ სპორტს ანებებენ თავს, იმაზე, რომ თუმცა ზრდადასრულებული ადამიანები არიან, ტვინი თხუთმეტი წლის მოზარდებისა აქვთ, და კვლავ სიტყვა-სიტყვით — „გრეკავენ და ისე გადაგივლიან, ვერც შეგამჩნევენ“.

რას მიედ-მოედება? — გაკვირვებით მკითხა ჩემს ხელმარჯვნივ მჯდომმა ვალერი კუჩერმა, რომელიც იმ დროს მოსკოველი არ იყო და, მაშასადამე, არც იცნობდა ჩვენი დედაქალაქის რეალიებს.

მერე აგიხსნი, — ჩავჩურჩულე.

ოთარმა დაამთავრა და ტაშის გრიალში დაჯდა ჩემს პირდაპირ.

— აი ასე, იური... ყველაფერი ეს გეჩვენება... — გაიმეორა მან და შამპანურის ჭიქა მომიჭახუნა, შემდეგ კვლავ გააბა ლაპარაკი ვიღაც სპორტსმენებზე, რომლებიც, მათდა საბედნიეროდ, მოზარდის აზროვნებისა არიან, რაც, ჩემი აზრით, არცთუ ისე ცუდია.

ჩემთვის მაფია, ოთარ, ის არის, როცა ყოფილი დიდი პარტიული მუშაკი რედაქციაში მოდის და რაღაცას ითხოვს პროფესიონალი ყომარბაზის ან თაღლითისათვის...

რას გულისხმობთ? — მკითხა ოთარმა.

არაფერს, ისე, უბრალოდ ვთქვი... — ვუპასუხე.

არა, რატომ... სხვა ამბავიც იყო! გახსოვთ, როგორ გაგიკვირდათ, როცა თქვენს დაბადების დღეზე უცნობი ადამიანი დაინახეთ? ის ჩემი კაცი იყო...

აა... — მაშინვე გამახსენდა უცნაური უცნობი, რომელიც შემოიჭრა ჩემთან მოსალოცად ნამდვილი „ნაპოლეონის“ ბოთლით, რაც იმდროისათვის არა მარტო ფუფუნება, არამედ იშვიათობაც იყო...

შემდეგ ოთარი წამოდგა და თანამგზავრთან ერთად აუჩქარებლად დატოვა დარბაზი.

3.

შენ თუ გესმის, რა სპონსორები გამოძებნე? — მახსოვს, ვკითხე ვლადიმერ მ-ს ოთარის წასვლის შემდეგ.

ძალიან მთხოვა, რომ შენ აუცილებლად ყოფილიყავი ამ პრეზენტაციაზე, — გულახდილად მითხრა ვალოდიამ.

ახლა ვფიქრობ, რომ, რა თქმა უნდა, ეს დიდებული პრეზენტაცია იმისთვის როდი იყო მოწყობილი, რომ ჩემი ფიზიონომია ეხილა და ჩემს მიმართ რამდენიმე ეგზოტიკური სურვილი გამოეთქვა (ამ რაოდენობის შავი ხიზილალის და ორაგულის ღირსი არ გახლავართ). არა, რა თქმა უნდა, შესაძლოა მაშინ პირველად გავხდი მოწმე, თუ როგორ იმკვიდრებდა ადგილს ოთარი დიდ ხალხში.

მართლაც, სხვადასხვა ხმები დადის, ბევრ რამეს ამბობენ.

ის კი ყოველმხრივ ჩანს, როგორც ხელისგულზე, დეპუტატებისა და ჟურნალისტების გვერდით. ტელევარსკვლავებისა და დასავლელი კორესპონდენტების გარემოცვაში. იქნებ ვიღაცისთვის მოსალამოვდა, მაგრამ ოთარი საკუთარი კარიერის ახალ გარიჟრაჟს ეგებება. ახალი სახით, ახლებურად. ყოველ შემთხვევაში, მე მგონი, იგი მაშინ ასე ხედავდა თავის მომავალს. ბოლოს და ბოლოს როგორც მოხდა კიდეც. თითქმის მოხდა.

მაგრამ იმ მომენტში, გულახდილად უნდა ვთქვა, მე სხვა რამ მაწუხებდა.

არ ვადანაშაულებდი ვლადიმერ მ-ს იმაში, რომ განზრახ დამაჯახა ოთარს. მაგრამ სწორედ იმ დროს იგი ძალზე ახლო იყო — მაშინ ჯერ კიდევ არა რუსეთის პრეზიდენტთან, არამედ უბრალოდ — ბორის ელცინთან, რომლის სახელი მორიგი მომავლის მორიგ იმედებთან ასოცირდებოდა, მაგრამ თუ მასაც ზუსტად ასევე მოექცევიან? ჩემი თავი ჯანდაბას! მაგრამ რა ელის მას, რომელიც მაინცდამაინც ვერ ერკვევა მოსკოვის რეალიებში, კაცმა რომ თქვას, ვერც იმ ადამიანებში, რომლებიც მასთან მიჰყავთ?

ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე ვფიქრობდი.

ჩემი შიში ერთი კვირის შემდეგ გამართლდა.

ვ. ი. ოლეინიკმა, იმ დროს რუსეთის დეპუტატმა, ცოტა ხნით ადრე კი ერთ-ერთმა ცნობილმა მოსკოველმა გამომძიებელმა, მითხრა, რომ ელცინს დაჟინებით ურჩევენ გაეცნოს კომპანია „XXI საუკუნეს“. ვინ არის ის, ვინც ურჩევს?

ჩემი ნაცნობი კოლეგის გვარი დამისახელეს.

შემდეგ კი, მახსოვს, მთელი საღამო გავატარე „ოთარისმცოდნეებთან“. როგორ გამოჩნდა იგი? რისთვის იყო მსჯავრდებული? ვინ არის მასთან დაკავშირებული? და ბოლოს, სად გაქრა ყველა ოპერატიული არქივი, რომლებიც მის ამბებს ასახავს?

ბუნებრივია, ამ საუბარმა არაფერი არ მოგვიტანა. მოხდა მხოლოდ ის, რომ ვლადიმერ მ. გაქრა ელცინის გარემოცვიდან. მაგრამ ამას უკვე არავითარი პრინციპული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ოთარის ვარსკვლავს სულ უფრო ემატებოდა სიკაშკაშე. მას უკვე ვხედავდი არა მაგიდასთან ჩემს პირდაპირ მჯდომს, არამედ ტელევიზორის ეკრანიდან. თუმცა, ისეც ვხვდებოდი.

ჩვენ მეორედ შევხვდით პოპულარული გადაცემის გადაღებებზე. მახსოვს, ეს მოხდა „იზმაილოვოს“ ერთ-ერთ კომპლექსში.

იგი ხელგაშლილი მომიახლოვდა, მზად იყო გადამხვეოდა, თითქოს მისი ძველი და გულითადი მეგობარი ვიყავი.

— კიდევ მეგობრობ გუროვთან? — მკითხა მან (ა. ი. გუროვი მაშინ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დამნაშავეობასთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო).

— ვმეგობრობ...

— გადაეცი ალექსანდრე ივანეს ძეს, რომ „იზმაილოვოს“ მაფია უწევს კონტროლს.

და ჩვენ ნაზად გავუღიმეთ ერთმანეთს.

ისე, რამდენჯერაც კი შევხვედრივარ შემდეგ, მუდამ ფართო და სანდომიანი ღიმილი დასთამაშებდა.

დიახ, მე ვიცოდი ვინ იყო იგი და ვუშვებდი კიდეც, რომ დამნაშავე ავტორიტეტთა მკვლელობებშიც მონაწილეობდა, რომლებმაც როგორც გახსოვთ, გადაუარეს მოსკოვს 1993 წელს, შესაძლოა მას სურდა ყოფილიყო პირველი და ერთადერთი. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი ინტერესით ვადევნებდი თვალს, რა გულდაჯერებით ცდილობდა დაეკავებინა პოლიტიკური ნიშაც, რომლის დაკავება მანამდე ვერავინ გაბედა (ან ვერავინ მიხვდა ამის საჭიროებას).

არც ერთი პოლიტიკური წვეულება არ ყოფილა, მას რომ არ შევხვედროდი. მერე და მერე კი დღე არ გავიდოდა, მისი სახე ტელეეკრანზე არ გამოჩენილიყო, განსაკუთრებით მოსკოვის არხის გადაცემებში. არც გამკვირვებია, როცა მისი ძმა ამირანი მოკლეს ჩეჩნებთან საქმის გარჩევის დროს „ბოლშაია პოლიანკაზე“ და მისი საფლავისათვის ადგილი გამოყვეს ვისოცკის საფლავის გვერდით ყველაზე პრესტიჟულ ვაგანკოვოს სასაფლაოზე. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ჩეჩნებს სულაც არ უნდოდათ დიდი ომი გაემართათ ძლიერ მოსკოველებთან და ამირანიც შემთხვევით მოკლეს — არა როგორც ოთარის ძმა, არამედ უბრალოდ ისეთი ადამიანი, რომელიც ცდილობდა წაერთმია მათთვის უკვე დაკავებული ტერიტორია (სხვათა შორის, სწორედ მაშინ, რაც, რა თქმა უნდა, დამთხვევაა, წარმოთქვა პირველად მოსკოვის მერმა სიტყვები მოსკოვში ჩეჩენთა ყოფნის განსაკუთრებული რეჟიმის შესახებ).

დიახ, ვეოცდებოდი, რადგან მესმოდა, საითაც მივდიოდით...

თუმცა, მართალი გითხრათ, არ გამკვირვებია, როცა „ნეზავისიმაია გაზეტაში“ წავიკითხე ბორის ელცინის ბრძანებულება სპორტის აკადემიის შექმნის შესახებ, რომელსაც მიენიჭა არნახული საიმპორტო-საექსპორტო შეღავათები საგნებზე, რომლებსაც არაფერი ესაქმებათ სპორტთან. როგორც, ალბათ, მიხვდით, აკადემიას სათავეში ჩაუდგა ორი ადამიანი: ოთარ კვანტრიშვილი და შამილ კარპიჩევი.

ერთხელ (ეს უკვე მისი სიკვდილამდე ორი კვირით ადრე იყო) ნაცნობმა ბიზნესმენმა მიამბო, რომ მასთან იყო ოთარი და დახმარება შესთავაზა ვალების ამოღებაში ან კრედიტების მოპოვებაში. სულ რაღაც 20 პროცენტის საფასურად. „ოთარმა თქვა, გამოცდილ იურისტთა ჯგუფი მყავსო“... მითხრა ბიზნესმენმა.

შემიძლია წარმოვიდგინო ეს სურათი: „იურისტები გამოიძახეთ?“ და შემოდიან სარჩილავებითა და უთოებით შეიარაღებული „იურისტები“.

რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ასეთი „ოცი პროცენტებით“, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, ეხმარებოდნენ სპორტსმენებსაც და საბავშვო სპორტულ სკოლებსაც ქმნიდნენ, ანუ ოთარი ცდილობდა შეევსო ნიშა, რომელიც სახელმწიფომ დაკარგა. ამიტომაც მიაცილებდა ამდენი სპორტსმენი მას ვაგანკოვოსკენ მიმავალ უკანასკნელ გზაზე მისი მეგობრების — პოლიტიკოსებისა და ჩინოსანი მილიციელებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამ დაკრძალვას არ დასწრებიან.

მგონია, რომ ოთარს მარტო ის როდი სჭირდებოდა, საიდუმლოებით მოცული ადამიანი ყოფილიყო. თავგამოდებით ცდილობდა დამკვიდრებულიყო პოლიტიკაში და ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ ეცოცხლა, შეიძლებოდა შევხვედროდით პრეზიდენტის ინაუგურაციაზეც.

იგი ქმნიდა სპორტსმენთა პარტიას.

მახსოვს, როცა ნიუ-იორკის რესტორან „პარადაისში“ ოლეგ კოროტაევის, წარსულში ცნობილი, უკვე ნიუ-იორკის საქმის გარჩევაში მოკლული მოკრივის მეგობრებთან ერთად ვისხედით, მათ თქვეს, თუ რა კარგად მოაწყო ოთარმა კოროტაევის დაკრძალვა (დიახ, ვაგანკოვოზე), შემდეგ კი, როგორც გადაწყვეტილ საქმეზე, ისე ლაპარაკობდნენ რუსეთში ახალ პოლიტიკურ ძალაზე...

1993 წლის დამლევს მორდვეთის „ზონიდან“ მივიღე წერილი, რომელშიც დაუყოვნებლივ შეხვედრას მთხოვდნენ. წერილმა იმდენად დამაინტერესა, ყველა საქმე მივატოვე და იქ გავემგზავრე. მახსოვს იყო თოვლი, ზამთარი, მავთულხლართი, საგუშაგო კოშკები, კოლონიის უფროსის კაბინეტი, სადაც შემოვიდა უცნაური, წვერმოშვებული პატიმარი ხელჯოხით. მან დაიწყო მოყოლა მოსკოვში არსებულ ქართულ დაჯგუფებებზე, დასავლეთთან და აღმოსავლეთთან მათს ურთიერთობაზე, მიხასსა და იაპონჩიკზე (სხვათა შორის, მაშინ პირველად მისგან შევიტყვე, რომ ჩვენმა „ნათლიებმა“ ნარკობიზნესსა და იარაღის დიდი პარტიებით ვაჭრობას მიჰყვეს ხელი). უფრო მეტად ოთარზე მელაპარაკა.

თუ ქურდი ხარ — იქურდე, და ნუ მასწავლი დემოკრატიას ტელეეკრანიდან.

მესმოდა, რომ ამ ადამიანს, რომელიც ოთარს ათეულწლობით იცნობდა, მის მიმართ რაღაც თავისი პრეტენზიები ჰქონდა; ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია მისი სიტყვებისათვის. „აი ნახავთ... ორ-სამ თვეში მას გააგორებენ...“ (მართალია, მან ეს უფრო ეგზოტიკურად გამოთქვა).

მაფია უკვდავია არა იმიტომ, რომ დამნაშავეები არ კვდებიან, არამედ იმიტომ, რომ ყველას სურს იცხოვროს.

ჩვენი საუბარი 1994 წლის იანვარში შედგა...

აი, ასე იყო საქმე...

ვიმეორებ — ეს არ არის წარსული.

ეს არის ცხოვრება.

არასდროს — არც ახლა, არც წინათ — არ შემეძლო ბრალი დამედო ადამიანისათვის, ანუ დამეყენებინა იგი შექმნილ გარემოებაზე მაღლა.

ვაღიარებ, მეწყინა, როცა შევიტყვე, რომ კრასნაიაპრესნის აბანოდან გამოსვლის დროს მას სნაიპერის ტყვია დაეწია.

მაგრამ სხვა რამეზეც ვფიქრობ! როდის შეეძლოთ წინათ ოთარის მსგავს ადამიანებს ასე მიახლოებოდნენ კრემლის ცის კიდეს! როდის დაიახლოვებდა წინათ პოლიტიკური ელიტა საეჭვო წარსულისა და აწმყოს მქონე ადამიანებს!

სულ უფრო და უფრო ხშირად მესმის ხან მწარე, ხან უკვე ჩვეული სიტყვები: „ჩვენ ყველას მაფია გვმართავს“. ხუმრობა კი არა, სიმართლეა: ყოველდღიურ ახალგაზრდულ გაზეთში წერილი მოვიდა, რომლის ადრესატიც, როგორც კონვერტზე იყო წარწერილი, მაფია გახლდათ „ძვირფასო მაფია, სამი შვილის დედა ვარ, ძალზე მიჭირს მათი გამოზრდა, რადგან ფული არა მაქვს. დამეხმარე, გეთაყვა...“

დიახ, მეტად ძნელია დღეს გაავლო ზღვარი პატიოსან და კრიმინალურ ბიზნესს შორის. გზა სოციალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ ყველაზე უვალი გზაა გზათა შორის.

მესმის, რომ ეს პროცესი — პოლიტიკურ სტრუქტურებში მაფიის შეღწევა — ეს-ეს არის დაიწყო. მაგრამ არა მგონია, რომ თავად ეს პროცესი უმტკივნეულოდ გაიაროს საზოგადოებამ. და, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ თავად ატმოსფერო, რომელსაც ქმნის მაფიისა და პოლიტიკის ასეთი აღრევა, რაც მთავარია, სახიფათოა დემოკრატიის შენარჩუნებისათვის. როცა ხელისუფლება თვალს ხუჭავს ქრთამებსა და აშკარა კორუფციაზე, როცა ჩინოვნიკის რეპუტაცია უკვე აღარ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რაოდენ ხშირად და რისთვის იღებს ქრთამებს (და თუ დამოკიდებულია, მხოლოდ იმაზე, თუ რამდენს იღებს იგი), თუ საეჭვო პიროვნებები თამამად აღებენ მაღალჩინოსანთა კაბინეტების კარს — ყოველივე ეს გარეწრებს, რომლებიც მხოლოდ ლამაზ სიტყვებს ისვრიან, აძლევს შანსს, ხელთ იგდონ დამნაშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა.

არც ნორმალური ბიზნესისათვის არის ასეთი ატმოსფერო, რომელშიც ეს ბიზნესი განვითარდება. რადგან დღე არ გავა, რუსეთში არ გაისმას სროლისა და აფეთქების ხმები, რომლებისაგანაც ბიზნესმენები იღუპებიან...

ოთარმა როგორღაც გულახდილობის მომენტში თქვა: „დიახ, დავუშვათ, მართალია ყველაფერი, რასაც ჩემზე ამბობენ... სამაგიეროდ, ჩემი შვილები პატიოსნად გაიზრდებიან...“

რუსეთში მარად ხვალინდელი დღით ცხოვრობენ.

იური შჩეკოჩიხინი.

„ნოვაია გაზეტა“, №29, 1996 წლის 12-18 აგვისტო.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პრეზიდენტის წინასაშვებულებო დავალება

რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რომელიც, მისი პრესმდივნის თქმით, ამჟამად „ამბულატორიულ მკურნალობას გადის და არ აპირებს შვეიცარიაში გულის ოპერაციის გასაკეთებლად გამგზავრებას“, შვებულებაში გასვლის წინ უშიშროების საბჭოს მდივანს ალექსანდრე ლებედს დაავალა „აღადგინოს გროზნოში მართლწესრიგი, როგორიც იყო 6 აგვისტომდე, აგრეთვე დაასრულოს 1 სექტემბრისათვის იმ ძალების ეტაპობრივი გამოყვანა, რომლებიც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა განიარაღების ამოცანას ასრულებენ, ერთი კვირის ვადაში წარუდგინოს რესპუბლიკის სიტუაციის შემდგომი მოგვარების გეგმა და გადაწყვიტოს, სახელდობრ, რომელი თანამდებობის პირები აგებენ პასუხს გროზნოს ამბებისათვის“. (თუმცა, ერთზე უკვე წაუყრუა).

შეხვედრები გრძელდება, სროლა კი არ წყდება

ჩეჩნეთში მიმდინარეობს შეხვედრა რუსეთის ჯარების და ჩეჩენი მეომრების ქვეგანაყოფების სარდალთა მოადგილეების დონეზე. მხარეებს განზრახული აქვთ შეათანხმონ თავიანთი პოზიციები ცეცხლის შეწყვეტის მორიგებათა დაცვის სპეციალური სამეთვალყურეო კომისიის შესაქმნელად.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა გამართა სამუშაო შეხვედრა ჩეჩნეთის რესპუბლიკის მეთაურთან დოკუ ზავგაევთან. განიხილეს ჩეჩნეთის დაფინანსების საკითხი. ზავგაევმა პრემიერ-მინისტრს მიაწოდა ინფორმაცია რესპუბლიკაში შეიარაღებული კონფლიქტის მოწესრიგების პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

გერმანული გაზეთის პროგნოზი

„ზაარბრიუკენ ცაიტუნგი“ აანალიზებს რუსეთის პოლიტიკური ძალების განაწილებას და წერს: უკვე ახლა შეიძლება იმის ლაპარაკი, რომ დაიწყო ბრძოლა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტისათვის, რომელიც შესაძლოა ნებისმიერ მომენტში გათავისუფლდეს ელცინის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო. გაზეთს ყველაზე ნაღდ კანდიდატად მიაჩნია ვიქტორ ჩერნომირდინი. თავის მოსაზრებას მიმოხილველნი იმას უკავშირებენ, რომ ახლანდელ პრემიერ-მინისტრს მხარს უჭერენ პარტიული სახელმწიფო ფუნქციონერები, რომლებიც სათავეში უდგანან სანედლეულო დარგებს, ამ დარგების საკვანძო მდგომარეობას კი განაპირობებს მათი გავლენა სახელმწიფო ხაზინაში ფულის შემოსვლაზე. მეორე შესაძლო პრეტენდენტად ასახელებენ ბორის ელცინის ადმინისტრაციის ახლანდელ მეთაურს ანატოლი ჩუბაისს, რომელსაც, ექსპერტთა აზრით, ზურგს უმაგრებენ ჩუბაისის წყალობით განხორციელებული პრივატიზაციით გამდიდრებული ბანკირები და მეწარმეები, რომლებსაც მან ხელში ჩაუგდო ყველაზე დიდი საწარმოები და ორგანიზაციები ყოფილი სახელმწიფო საკუთრების ობიექტებიდან. ხოლო ყველაზე სუსტ პრეტენდენტად გაზეთი მიიჩნევს ალექსანდრე ლებედს, ვინაიდან მის ზურგს უკან არ დგას არავითარი რეალური ფინანსურ-პოლიტიკური ძალა, გარდა ამომრჩეველთა უღატაკესი ნაწილისა, რომელსაც არავინ და არასდროს არ უწევდა არავითარ ანგარიშს.

ბილ კლინტონმა ნიუ-იორკში დაბადების 50 წლისთავი გადაიხადა

150 კილოგრამს იწონიდა ვარსკვლავებიან-ზოლებიანი გიგანტური ტორტი, რომელიც პრეზიდენტ ბილ კლინტონს მიართვეს დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად. ტორტი იმხელა იყო, რომ მხოლოდ თავისი ქალიშვილის ჩელსის დახმარებით შეძლო პრეზიდენტმა ჩაექრო შუა სცენაზე აღმართულ ტორტში ჩარჭობილი ყველა სანთელი.

მაგრამ ზეიმის სიხარული ცოტა არ იყოს გაუფუჭეს სოციალური უზრუნველყოფის რეფორმის კანონპროექტის მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც ტრიბუნას მიცვივდნენ „სირცხვილო, სირცხვილოს“ ძახილით, ამავე დროს ქუჩაში მიმდინარეობდა ხალხმრავალი, ხმაურიანი დემონსტრაცია.

* * *

იუბილესთან დაკავშირებით გაზეთები აქვეყნებენ მის ბიოგრაფიას, აი მოკლედ ისიც:

ბილ (უილიამ ჯეფერსონ) კლინტონი — აშშ პრეზიდენტი.

დაიბადა 1946 წლის 19 აგვისტოს, არკანზასის შტატის ქალაქ ჰოუპში.

მამა — უილიამ ჯეფერსონ ბლაიტი — საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა ვაჟის დაბადებამდე.

გაზარდა მამინაცვალმა — როჯერ კლინტონმა, რომელმაც ბილი იშვილა და თავისი გვარი მისცა.

დედა — ვირჯინია კესიდი დუაირი.

16 წლისამ პრეზიდენტ ჯონ კენედის და სენატორ ფელბრაიტის იდეების გავლენით გადაწყვიტა პოლიტიკისთვის მოეკიდებინა ხელი. 1968 წელს დაამთავრა ჯორჯთაუნის (ქ.ვაშინგტონი) უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობით.

1968-70 წწ. — ოქსფორდის უნივერსიტეტის როუდსის სტიპენდიის ასპირანტი.

სამართლის დოქტორი (იელის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა, 1973 წ).

1972 წ — ჯ. მაკჰოვერნის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის ხელმძღვანელი ტეხასის შტატში.

1973 წ. —აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის იურიდიული კომიტეტის იურისტი, შემდეგ არკანზასის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი.

1973-1976 წწ. — ეწეოდა კერძო იურიდიულ პრაქტიკას.

1974 წ. — კანდიდატი დემოკრატიული პარტიისაგან წარმომადგენელთა პალატის წევრად, დამარცხდა, დააგროვა ხმების 48 პროცენტი.

1976 წ. — ჯიმი კარტერის წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანიის ხელმძღვანელი არკანზასის შტატში.

1976-1978 წწ. — არკანზასის შტატის გენერალური პროკურორი.

1978-1980 წწ. და 1983 წლიდან — არკანზასის შტატის გუბერნატორი.

ხელახლა აირჩიეს 1988-1990 წლებში.

იყო ავტორი კანონპროექტისა შტატის განათლების სისტემის რეფორმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა გაყიდვის გადასახადის ზრდას რეფორმის დასაფინანსებლად. მისი ინიციატივით შეიქმნა არკანზასში დამატებითი სამუშაო ადგილები, რასაც შედეგად მოჰყვა შტატის ეკონომიკის გამოცოცხლება.

1981-1982 წწ. — იურიდიული ფირმის თანამშრომელი.

1986-1987 წწ. — გუბერნატორთა ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარე.

1987-1988 წწ. — გუბერნატორ-დემოკრატთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე.

1991 წლიდან — დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარე.

1992 წ. — აშშ პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიისაგან.

3 ნოემბრის არჩევნებში მოიპოვა ამრჩევთა კოლეგიის 370 წევრის მხარდაჭერა და გაუსწრო ჯ. ბუშს.

1993 წლის 20 იანვრიდან — 42-ე აშშ პრეზიდენტი.

არკანზასის შტატის იურისტთა ასოციაციის წევრი.

ბაპტისტი.

ცოლი — ჰილარი როდემი, იურისტი.

ქალიშვილი — ჩელსი.

უყვარს საქსაფონის დაკვრა (საერთოდ გატაცებულია ჯაზით), გოლფი, ცურვა, კითხვა.

ავტორია წიგნებისა: „ხალხი—უწინარეს ყოვლისა. როგორ შეგვიძლია სახე ვუცვალოთ ამერიკას“ (1992 წ.), „იმედსა და ისტორიას შორის“ (1996 წ.).



ბილ კლინტონი მიესალმება ნიუტ გინგრიჩს — თავის ოპონენტს კონგრესში.

ბრალი ედება

პაპა კლავს შვილიშვილს

67 წლის ვეჯინელმა ტარიელ სეფიაშვილმა ურთიერთშელაპარაკებისას სანადირო თოფით მხარში დაჭრა თანასოფლელი, 30 წლის ვანო სეფიაშვილი.

მერე კი მუცელში დანის ჩარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა 16 წლის შვილიშვილი ტარიელ სეფიაშვილი.

უიმედო „იმედი“ ღონიაშვილისა

ფირმა „იმედის“პრეზიდენტმა ნუგზარ ღონიაშვილმა ბათუმიდან შემოიტანა 217750 ლარის 65 ტონა ქათმის ხორცი და გაყიდა. სახელმწიფო ბიუჯეტისკენ კი თვალითაც არ გაუხედავს.

არ გაუმართლა „იმედმა“ იმედი სახელმწიფოს და ახლა ამისათვის პასუხსაც აგებინებენ.

ცეცხლიანი შურისძიება

ფერისცვალების დღეს თბილისი, თამარაშენის ქუჩაზე თავის საცხოვრებელ ბინაში ნახეს გურგენ მხითარიანის, მისი მეუღლის — ელზა დალაქიშვილისა და შვილის არტურ მხითარიანის დამწვარი გვამები.

ეჭვიანობის გამო ჩაკეტილა ცოლ-შვილთან ერთად მხითარიანი დამხმარე სათავსოში და განზრახ გაუჩენია ცეცხლი. მოდი და დაარქვი სახელი ასეთ კაცს.

შსს პრესცენტრისა და საქინფორმის მასალების მიხედვით.

ნარკოტიკები გზად და... შინაც

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ძებნის სამსახურის უფროსმა გელა ცალქალამანიძემ, უფროსმა ინსპექტორმა ბადრი მანჯავიძემ, მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა მალხაზ კორკოტაძემ და გურამ ლაბაძემ ქარელის რაიონის სოფელ კნოლევთან გზაზე დააკავეს ავტომანქანა „რენო“, სახ. № აზფ-380, რომელსაც მინდობილობით მართავდა პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, თბილისელი გოჩა დავითაშვილი. გაირკვა, რომ მძღოლი და მგზავრები — ქარელის რაიონის სოფელ აგარის მცხოვრები გიორგი მღებრიშვილი და ქარელში მცხოვრები აკაკი ლოლაძე ნარკოტიკებით იყვნენ გაბრუებული.

გიორგი მღებრიშვილს მანქანაში აღმოუჩინეს 1,5 გრამი ოპიუმი და 5 გრამი მარიხუანა. სხვათა შორის, ბინაში დააკავეს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფნი, თბილისელები დავით ჩალაძე და გიორგი ფიფია.

როგორც ჩანს, ამ ხალხს ჩალის ფასად არ ულირს არც საკუთარი, არც სხვისი სიცოცხლე, რადგან გაბრუებულ-გამოთაყვანებული მძღოლი და მგზავრები, იოლი წარმოსადგენია, რა ხიფათს შეამთხვევენ მოძრაობის სხვა მონაწილეებს.

საქართველოს სს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრის ინფორმაციის მიხედვით.

ფესტივალი ედინბურგში

მთავარი მიზანი შესრულებულია!

დღეს ჩვიდმეტია. დილით საქართველოს ელჩი თემურ მამაცაშვილი ჩამობრძანდა სპექტაკლზე დასასწრებად და თეატრთან შესახვედრად. თბილისიდან კულტურის მინისტრის ვალერი ასათიანის ფაქსიც მოვიდა, თეატრს გამარჯვებას ულოცავენ.

ორივე ფაქტი მნიშვნელოვანია თეატრისათვის და სტიმულის მომცემი. მარჯანიშვილის თეატრი განებივრებულია ხელისუფლების ყურადღებით, მაგრამ დღეს და უცხოეთში გამოჩენილ ამ ყურადღებას მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

მადლობა ელჩს ლონდონიდან ედინბურგამდე ძნელი და დამქანცველი გზის გამოვლისათვის, მადლობა მის მეუღლეს კეთილი სიტყვებისათვის, მადლობა მინისტრს მოლოცვისთვის.

* * *

ედინბურგის ფესტივალს ასეთი წესი აქვს — სპექტაკლი წინასწარ მოცემულ ვადაში უნდა ჩაეტიოს. ამ თვალსაზრისით ყველაფერი ვერაა წესრიგში.

პირველ დღეს ნახევარი საათით გაგრძელდა სპექტაკლი, რამაც ორგანიზატორების უკმაყოფილება გამოიწვია. დროში რომ ჩავტეულიყავით, რეცენზიები, ალბათ, მეტი იქნებოდა. წესი ყველასათვის წესია! ფესტივალის მონაწილენი თანაბარ პირობებში უნდა იყვნენ.

და სწორედ ამიტომ მუდმივად იკვეცება სპექტაკლი. ყოველივე ამას მხოლოდ ზიანი მოაქვს და მეტი არაფერი. ინგრევა მიზანსცენები, როლები, სახე-სიმბოლოები, სიმბოლური ჟესტები ვეღარ იკითხება მაყურებლის მიერ (თუნდაც ქართველი მაყურებლის მიერ), ვერა და ვერ აეწყო განათების საქმე, ამ რთული ოპერაციის დროს თავი იჩინა ზოგი „მიგნებისა“ თუ „აღმოჩენის“ გულუბრყვილობამ. ეტყობა, თბილისში, სპექტაკლის აღდგენისას, ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება...

და მაინც... მაყურებელი (ინგლისელი მსახიობები, კრიტიკოსები) მოდის და გვეუბნება, რომ აღტაცებული არიან ლირით, რომ იგი მსოფლიომ უნდა ნახოს, რომ ოპტიმიზმი, ადამიანურობა სპექტაკლისა განასხვავებს მას სხვა დადგმებისაგან.

გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ მსახიობები შესანიშნავად მუშაობენ სცენაზე, ესაა ერთი სურვილით გაერთიანებული დასი — წარუდგინონ მსოფლიოს თავისი ლიდერი და დაანახონ თავისი ოსტატობა.

ადრეც ვთქვი — სპექტაკლში ოსტატურად არის გამოძერწილი როლები, თავისი ინდივიდუალური ხელწერით, სახის ლოგიკური განვითარებით. აქ ჩანს როლზე მუშაობის დიდი კულტურა.

მე არ მინდა ვინმეს ცალკე გამოყოფა, მაგრამ, ვფიქრობ, არ მიწყენენ, თუ ერთზე მაინც საგანგებოდ ვიტყვი, — კორდელიაზე, ნატო მურვანიძეზე. იგი ბრწყინვალედ თამაშობს და არა მომავალში, არამედ უკვე დღეს, თანაბარ პარტნიორად გვევლინება ისეთი დიდი მსახიობისა, როგორიც ოთარ მეღვინეთუხუცესია.

ისევ სპექტაკლს მინდა დავუბრუნდე.

იგი რთული, "სამ განზომილებადი ნაწარმოებია — სცენური მოქმედება ხდება წარსულში, აწმყოში და ირეალურ სამყაროში... მაყურებელმა შესაბამისად რომ ამოიკითხოს ყოველივე, სპექტაკლის ყოველი დეტალი, ყოველი მოძრაობა, ყოველი სიტყვა ზუსტი უნდა იყოს. მაყურებელს არა აქვს დრო ხელახლა მოუბრუნდეს კადრს, ამისთვის იგი მეორეჯერ უნდა მოვიდეს მის სანახავად... არიან ასეთებიც... მაგრამ მაინც, სპექტაკლის წაკითხვა ერთი ნახვით უნდა იყოს შესაძლებელი... ისიც სათქმელია, რომ ერთი სპექტაკლის მანძილზე ამ სიტყვიერ თუ ვიზუალურ მინიშნებათა შენიშვნას დრო უნდა, უმეტეს შემთხვევაში ენის ცოდნაც — რომ დააფიქსირო თუნდაც ის, რომ კორდელიის მოსასხამი მასხარის ჩაჩით თავდება, რომ დააფიქსირო ლირის სიტყვები მასხარისადმი — „ჩემო შვილო“ და კორდელიასადმი — „ჩემო მასხარა“ და რომ მიხვდე მასხარა და კორდელია ერთი მთლიანობის სხვადასხვა სახეა, ამას სცენური დრო უნდა და ენის ცოდნა...

მე მოვიყვანე სპექტაკლის სტილისტიკის დამახასიათებელი ერთი მაგალითი — შესანიშნავი რეჟისორული ინტერპრეტაცია შექსპირის ტექსტისა, ასევე შესანიშნავად განხორციელებული მსახიობების მიერ. სხვათა შორის, იგი მკაფიოდ იკითხება და თითქმის არ დაზარალებულა „ედინბურგის ჭრაკერის“ დროს. სასურველია, რომ მთელი სპექტაკლი ასე გამჭვირვალედ იკითხებოდეს...

ისიც სათქმელია და სამომავლოდ გასათვალისწინებელი: როცა საგასტროლოდ სპექტაკლი მიგაქვს, ან სინქრონული თარგმანით უნდა წახვიდე, ანდა მინიმუმამდე დაიყვანო „ენობრივი მომენტი“, რადგან ორაზროვნებანი, კალამბურები და ა.შ., რაც დამახასიათებელია შექსპირისათვის და „ლირის“ თარგმანისათვის, ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას, ენობრივ სიცარიელეს ქმნის, რომელიც პოტენციაში სცენური სიცარიელის შექმნის საშიშროებას შეიცავს.

თუ საგასტროლოდ ამზადებ სპექტაკლს, საჭიროა დაკარგული ენობრივი ეფექტი შენაცვლებულ იქნეს ვიზუალური ეფექტით — ჟესტით, მიმიკით, სცენური მოძრაობით და ა.შ. ეს უკვე რეჟისორის ნიჭზე, ფანტაზიასა და ახალ რეალობასთან მხატვრული ადაპტაციის უნარზეა დამოკიდებული...

სხვათა შორის, რეჟისორმაც და მხატვარმაც — დათო დოიაშვილმა და სიმონ მაჩაბელმა ამ მიმართებით სპექტაკლს მცდელობა არ დააკლეს და თუ რაიმე ვერ გამოვიდა ისე, როგორც სასურველი იყო, დროის სიმცირის ბრალია.

ასეა თუ ისე, ვიმეორებ, მაყურებელი აღტაცებულია ლირით, კმაყოფილია სპექტაკლით. მთავარზე მთავარი მიზანი გასტროლისა შესრულებულია.

აქვე უკვე არის რეალ წინადადებანი — ოთარ მე ვინეთუხუცესისადმი, დათ დოიაშვილისადმი, თეატ [illegible] გამოთქმული სურვილები ოფიციალურად როგორ დადასტურდება... მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ...

17 აგვისტოს მნიშვნელოვან დღე შესანიშნავად დაგვისრულ ცნობილმა ფოტოხელოვანმა კე რეინოლდმა, რომელმაც თეატრის მთელი დასი, საქართველოს ელჩი, აწ გარდაცვლილ დიდი კინორეჟისორის ანდრე ტარკოვსკის და, აგრეთვე, ოთარ მეღვინეთუხუცესთან წინადღებით მოსული კინორეჟისორი და თეატრალური კრიტიკოსი სახლში მიგვიწვია, ედინბურგიდან მოშორებით, ოკეანის სანაპიროზე...

ეს უკვე ახლო და ბრწყინვალე რეალობა იყო გულთბილი და გულუხვი მასპინძლებით, შესანიშნავი პურმარილით, მეზობლების გადმოპატიჟებით, ქართული სიმღერით...

მოკლედ, ბერნსის სამშობლომ საქართველოსავით გვიმასპინძლა.

ხვალ ბოლო სპექტაკლია... ბოლო დღე... ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ითამაშებენ ამ ბოლო სპექტაკლს ჩვენები, რადგან სცენაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს პირველ შესვლას და ბოლო გასვლას...

იმედი მაქვს, აქაც ყველაფერი ისე იქნება, როგორც უნდა იყოს...

მერე კი, პირდაპირ სპექტაკლიდან იწყება ჩვენი დიდი და ძნელი გზა სამშობლოსაკენ...

კობა იმედაშვილი.

ედინბურგი. 17.08.96.

ბინები, აგარაკები

იყიდება აგარაკი მუხათწყაროში, თბილისიდან 5 კილომეტრის დაშორებით. სახლი კაპიტალური და სტანდარტულია. სახლი არის წოდორეთის თავზე, ტყის პირას. შენობა აგებულია კოზმანის თეთრი ბლოკით. მეორე სართულზე აქვს რკინის კარები, გაყვანილია ელექტროდენი, გალესილია ქვიშით. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი — 31-51-50.

იყიდება კასპის რ-ნის სოფელ კავთისხევის ცენტრში, ორსართულიანი, კარგად გარემონტებული სახლი ეზოთი, ხეხილის ბაღით; ვაზის ტალავერით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-85-17, მზია ვაჩეიშვილი.

იყიდება კუმისში, სადგურიდან მე-3 სახლი კეთილმოწყობილი ეზოთი, მსხმოიარე ბაღით და ვენახით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 72-45-07, რაფიკა.

იყიდება პატარა სახლი, მიწის ნაკვეთი ავტოფარეხით. მიწის ნაკვეთი 600 კვ. მ. ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 29-38-06, დათო.

ვყიდით ერთოთახიან ბინას ვაჟა-ფშაველას გამზირზე მე-4 კვ. მე-11 კორპუსი მე-2 სართულზე. ბინას აქვს ტელეფონი, გაწყობილია ავეჯით, გარემონტებულია. ფასი 10 ათასი ლარი. ტელ: 39-05-95, ჯამბული.

იყიდება ოთხოთახიანი ბინა საბურთალოს ბაზართან. ფართი — 110 კ. მ. ბინას აქვს მიშენებული 90 კვ. მ. ფართის შენობა. სახლი ხუთსართულიანი აგურის შენობაა. აქვს სარდაფი. ტელეფონი 37-77-50.

სასწრაფოდ იყიდება დიღმის მასივის მე-3 კვარტალში პირველ სართულზე სამოთახიანი, გარემონტებული ბინა მიშენებით, მუხის პარკეტით, მაკაგონის კარებით, 120 კვ. მ. სარდაფით, რომლის სიმაღლეა 3,5 მეტრი. საწყისი ფასი 33 ათასი დოლარი. დარეკეთ 51-42-76 ან 37-64-60, დალი ან ნათია.

ვყიდი ოროთახიან ბინას 50 კვ. მეტრი ფართობით. პლიუს 40 კვ. მეტრი მიშენებით. მანსარდის დაშენების პერსპექტივით. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი.
ტელეფონი 39-29-27.

ვქირავებ ორნახევაროთახიან ბინას ავეჯით, ტელეფონით, საბურთალოზე, მიცკევიჩის ქ. №14, ბინა 16, ფასი 320 ლარი. ტელეფონი 38-40-10.

ვაქირავებ ბინას ქავთარაძის ქუჩაზე №25-ში სამოთახიანის ერთ ან ორ ოთახს. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი 38-55-78.

ვაქირავებ 2 ოთახიან ბინას აღმაშენებლის პროსპექტზე. საწყისი ფასი 300 დოლარი ერთი წლის თანხის წინასწარი გადახდით, ან ვყიდი 19.000 დოლარად. ბინა ყოველმხრივ კეთილმოწყობილია, ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 96-34-31 ან 95-09-86.

ვყიდი ოროთახიან ბინას, თუხარელის პროექტით, ნუცუბიძის მე-4 მ. რაიონში, მეტრო დელისიდან ფეხით ოცი წუთის სავალია. ბინას აქვს ტელეფონი, რკინის კარები, არის ცხრასართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ფასი 13 ათასი ლარი. ტელეფონი 29-38-88. გივი.

ვაქირავებ ბინას ქავთარაძის . № 25-ში, მე-4 კორპუსის მე-9 სართულზე. ქირავდება ერთი ან ორი ოთახი. ფასი შეთანხმებით. ტელეფონი: 38-55-78, დათო ან 30-24-26 ნანი.

ვყიდი ერთოთახიან იზოლირებულ ბინას დოლიძის ქუჩაზე. ტელეფონი: 34-62-28.ია.

იყიდება საკუთარი ბინა არდონის ქუჩაზე (სვანეთის უბანი), ერთსართულიანი , 70 კვ. მ. ფართით, ორი სათავსოთი, 100-150 კვ.მ. ფართობის ეზოთი, მსხმოიარე ხეხილით, ხეივნით, გარაჟით, აბაზანით, გათბობით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 39-45-34, თინა.

სასწრაფოდ იყიდება სამოთახნახევრიანი, კეთილმოწყობილი, არასტანდარტული ბინა. ეზოში არის სარდაფი და მანქანის სადგომი. ბინა არის მარჯანიშვილის მეტროსთან. ფასი შეთანხმებით: ტელ: 96-00-41.

სასწრაფოდ იყიდება ან იცვლება ორსართულიანი სახლი. მისი ფართობია 120 კვ.მ. აქვს მანქანის დასაყენებელი ორსართულიანი ფარეხი 120 კვ. მ. სახლი და ფარეხი ერთი სახურავის ქვეშაა. ირგვლივ აქვს 70 კვ.მ. აივანი. ეზო 1600 კვ. მეტრია. ყველანაირი ხეხილით. არის სამი დიდი ტალავერი. გაყვანილია წყალი, სინათლე, კანალიზაცია. მისამართი: გლდანი, ტბის მარჯვენა მხარე. ტელეფონი: 34-13-68 დილით, 68-16-66 ან 67-68-47, საღამოს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

აცნობებს ყველა იმ ორგანიზაციას, იურიდიულ თუ კერძო პირს, რომლებიც დაინტერესებული არიან სამკურნალო და სხვა სასარგებლო მცენარეების, მცენარეთა თესლების და მათი ნაწილების შეგროვებით, წარმოადგინონ განაცხადი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესაბამისი ნებართვის (ლიცენზიის) მისაღებად, ამა წლის 20 აგვისტომდე.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ: 36-15-99.

მისამართი: კოსტავას 68ა, II სართული

ვყიდი ოროთახიან, ჩეხური პროექტის გასარემონტებელ კუთხის ბინას მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან, ტაშკენტის, № 18-ში. ბინა არის მე-6 სართულზე, აქვს სარდაფი და მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი 25 ათასი დოლარი. ტელ: 37-60-46 ან 37-52-96.

ვყიდი ექვსოთახიან ბინას სამსართულიან სახლში, მე-2 სართულზე, საერთო ფართი 210 კვ.მ. ჭერის სიმაღლე 4,15 მეტრია. აქვს შემინული დიდი შუშაბანდი, საკუჭნაო — 12 კვ.მ. სამზარეულო — 22 კვ.მ. მარმარილოს ბუხრით, სარდაფით 22 კვ.მ. გარაჟით, ორი შესასვლელით, ბინა გარემონტებულია. ტელ: 95-23-51.

ვცვლი ერთოთახიან, იზოლირებულ, ყავლაშვილის პროექტით აშენებულ ახალ ბინას დიდი დიღომიდან (მისამართი: მე-4 მ/რ, მე-12 კორპ. მე-7 სართული) ნუცუბიძის ფერდობის ნებისმიერ მ/რ-ში, სასურველია მეოთხე მ/რ. ტელ. 31-45-05.

ვაქირავებ ერთ ოთახს თავის სამზარეულოთი და ტელეფონით. ფასი თვეში 50 ლარი. მისამართი: ყიფიანის 7, (მთაწმინდა). ბინა გაქირავდება მხოლოდ გოგონებისათვის. ბინა მესამე სართულზეა. ტელ. 93-52-07, ეთერი.

ვყიდი ან ვაქირავებ (მხოლოდ ერთი გოგონასათვის) ოროთახიან, ლოჯიან ბინას ტელეფონით. ბინა მესამე სართულზეა. მისამართი: ყიფიანის 7 (მთაწმინდა) ტელ. 99-09-49, ნაზიკო.

იყიდება ოროთახიანი, მაღალჭერიანი, 40 კვ. მ. ფართის ბინა სამსართულიანი სახლის მე-3 სართულზე, იტალიურ ეზოში. ბინას აქვს ტელეფონი, სამზარეულო, ცალკე შესასვლელი. ბინა ახალი გარემონტებულია. საწყისი ფასი 10 ათასი დოლარი. მისამართი: გოგოლის ქ. №48, ვაგზლის მოედანთან. ტელ. 96-69-04, ვერიკო ან თემური.

სასწრაფოდ იყიდება ან ქირავდება ბინა საბურთალოზე. ბინა ოთხოთახიანია, გარემონტებული და სუფთა, ცხრასართულიანი სახლის მე-9 სართულზეა. აქვს საკუჭნაო, სარდაფი, საშრობი. ტელ. 72-31-12, ნიკო ან ხათუნა.

ვყიდი 2-ოთახიან იზოლირებულ ბინას რვასართულიანი სახლის მე-5 სართულზე, კარგი რემონტით, ტელეფონით, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, მე-3 კვარტალში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 31-85-86, ციური.

დუშეთის რაიონში, სოფელ ბულაჩაურში, ტყისპირას იყიდება პრივატიზებული, გარემონტებული, ორსართულიანი ბინა, 600 კვ. მ. ფართით, პარკეტით, შემოღობილია, სინათლე გაყვანილია, აქვს მსხმოიარე ტალავერი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-66-32, ლამარა.

იყიდება კუთხის, სამოთახიანი, სუფთა ბინა, რომლის საცხოვრებელი ფართია 44 კვ. მ. სულ კი 75 კვ. მ. საერთო ფართით. ბინა ჩეხური პროექტისაა. აქვს მიშენებული კარკასი 50 კვ. მ. ფართით, არის ტელეფონი, სარდაფი, საკუჭნაო. ბინა არის მე-9 სართულზე დაშენების პერსპექტივით. მისამართი: ანტონოვსკაიას ქ. №9, მეტრო დელისთან. საწყისი ფასი 44 ათასი ლარი. ტელ. 39-37-19.

ვყიდი ოროთახიან ბინას ვაკეში 40 კვ. მ. მიშენებით. მისამართი: წყნეთის ქ. 3, პირველი სადარბაზო, მე-3 სართული, ფასი 25 ათასი დოლარი. ტელ. 23-03-17, დარეჯანი.

ვყიდი 700 კვ. მ. სამოსახლო ნაკვეთს ზაზიაშვილის (ყოფილი მონტინის) ქუჩაზე, საიდანაც კარგად მოჩანს თბილისის ხედი. ტელ. 37-31-14, თემური.

იყიდება სახლი მიწის ნაკვეთით 400 კვ. მ. საბურთალოზე, საირმის ქუჩის დასაწყისში. ცნობებისათვის დარეკეთ 38-30-25.

ავტომანქანები



იყიდება ექსპლუატაციაში მყოფი ტექნიკურად გამართული, გაზ-51 მარკის სატვირთო ავტომანქანა. გთხოვთ დარეკოთ ტელ. 22-46-20. 17.00 — 22. 00-მდე.

იყიდება 1980 წელს გამოშვებული ავტომანქანა გაზ- 24 „ვოლგა“ ძალიან კარგ მდგომარეობაში. მანქანას გავლილი აქვს 47000 კმ. აქვს სრულიად ახალი დიზელის გერმანული ექსპერიმენტული ძრავი, წვავს 6 ლიტრა დიზელის საწვავს 100 კმ-ზე. ფასი შეთანხმებით.
დარეკეთ: 78-32-00.

იყიდება სასწრაფოდ ბენზინმზიდი „ზილ-130“, სრული ტევადობაა 6200 ლიტრი. გამართული მანქანაა. საწყისი ფასი 2700 დოლარი. დარეკეთ 34-36-29. ნოდარი ან გურამი.

იყიდება სამგზავრო ავტომანქანა „ერაზი“ 17-ადგილიანი, გამოშვებულია 1991 წელს. საწყისი ფასია 1400 დოლარი. ტელ: 34-36-29. ნოდარი ან გურამი.

იყიდება ვაზ — 21011 ჟიგულის მარკის ავტომანქანა 1975 წლის გამოშვება, თეთრი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-52-96, იკითხეთ სერგო.

იყიდება თეთრი ფერის ავტომანქანა „ვაზ — 21-011“, 1975 წლის გამოშვება. მანქანა მუშა მდგომარეობაშია. ფასი 1200 ლარი.-ტელ. 71-52-96.

სააქციო-კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი“-ს განცხადება

სააქციო-კომერციული ბანკი „კაპიტალბანკი“ აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით წყვეტს თავის ფუნქციონირებას და თხოვს ყველა თავის კლიენტს გამოცხადდეს ჭავჭავაძის პრ. 62-მ თავიანთი სახსრების მისაღებად.

სამეთვალყურეო საბჭო.

იყიდება ავტომანქანა „მერსე 200“, დიზელი, 1976 წლის გამო ბა, ფასი — 800 ლარი.
ტელეფონი 22-16-31.

ორგანიზაცია ყიდის 1990 წ გამოშვებულ, კარგად მოვლილ „ 2121“ („ნივა“) მარკის ავტომანქ ხელმისაწვდომ ფასში.
დარეკეთ: 93-26-99; 99-03-09.

სხვადასხვა

შევიძენ პიანინოს, უმჯობეს იყოს „ბელორუსი“, დამიკავშირდ ტელეფონით. 34-41-74, იკით მზია.

იყიდება იაფად 300 კგ ლიმონ მჟავა დაფასოებული 40 კგ. ტო რებში. ტელ: 35-12-61.

ვიყიდი რუსეთის გამოშვების მე ტო-ბლოკს. დარეკეთ ტელეფონ 37-65-02 ან 51-54-37.

იყიდება ნაყინის დამამზადებე აპარატი, ფასი შეთანხმებით. დარ კეთ 35-32-63.

იყიდება ლარიქსის (ლისტვენიც გამომშრალი მასალა — 10 კარი, ფანჯარა, თავისი ჩარჩოებით, ყვე სტანდარტული ზომისაა. ფასი შე ნხმებით. ტელ. 34-65-09, 34-85-40.

იყიდება გაზიანი წყლების მოსასხმელი ხელის ტირაჟი, ს ტურატორი და სამაცივრო დ ნადგარი „იფ-56“. სამივეს ფას ერთად 1300 ლარი, ტელ: 93-4 96, 39-61-87 ირაკლი.

იყიდება ქართული პურის სა ცხობი დანადგარი, რომლის წა რმადობაა საათში 100 პური. სა წყისი ფასი 1000 დოლარი. და მირეკეთ 38-29-54.

ვყიდი 200-ლიტრიან რკინის კა სრებს, 200-ლიტრიან პლასტმასის კასრებს თავისი საცობებით, 100-ლი ტრიან პლასტმასის ბიტონებს გვაქვს აგრეთვე არმატურა, შვე რები და რკინის მილები. ტელ: 95-23-51. მერი.

იყიდება მე-8 საავადმყოფოსთან წი ნდების საქსოვი დაზგების საამქრო სამლებროთი. ტელ: 34-62-28. ა

იყიდება ორი რკინის ასაწყობ დახლი 2 მ და 80 სმ 1 მეტრზე. ფა სი 80 ლარი. ტელ: 98-95-02. ლ

იყიდება გერმანული, ნახევრად აკუსტიკური ელექტროგიტარა. ფა სი შეთანხმებით: ტელ: 98-95-02. იკითხეთ ლია.იყიდება ღვინის კერძ ქარხანა სოფელ კაჭრეთში, ცნობი სათვის დარეკეთ: 30-45-85, მიშა ბე რჯანაძე.

ვყიდი რუსეთში გამოშვებულ მაცივარს „კოდრო“. ნახმარია, მა გრამ კარგ მდგომარეობაშია. ფასი 250 ლარი. აქვე იყიდება ხელის საკერავი მანქანა „ზინგერი“, რომელიც 250 ლარი ღირს. ტელ 3:-73-33,ლია.

ვყიდი მარმარილოს დასადგმელით ანტიკვარულ სარკეს. ფასი 1000 ლარი. ტელ. 31-85-86, ციური.

ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, გაქირავების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა დაგვირეკეთ:

ტელ: 99-73-24.

ანატოლი სობჩაკი

თბილისის ჟამთეხილი,
ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა

მოედანი

შუაღამე.

სანამ ქალაქის მესვეურნი ურთიერთობებს არკვევდნენ და ფიქრობდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, თბილისის დედაქუჩაზე, რუსთაველის პროსპექტზე, ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები დაიძრნენ. ქალაქის თავზე დაიწყო სამხედრო შვეულმფრენების დემონსტრაციული ფრენა. მთავრობის სახლში ცხარედ კამათობდნენ, როგორ წარემართათ საუბრები ახალგაზრდობასთან, მოედანთან, თვით მოედანზე კი უკვე დაწყებულიყო სამხედრო მანქანის დემონსტრაცია უიარაღო ხალხის წინააღმდეგ.

გენერალ ვ.ნ. სამსონოვის,
ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოხსენებითი ბარათიდან

მოგახსენებთ: 1988 წლის განმავლობაში და 1989 წლის 9 აპრილამდე რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არაერთგზის მოგვმართა თხოვნით, მიგვეშველიებინა ჯარები საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად და გამოგვეყენებინა სადემონსტრაციო მოქმედება იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქში ხალხმრავალი მიტინგები მიმდინარეობდა.

მაგალითად, 7 ოქტომბრიდან 30 ნოემბრამდე საქართველოს მთავრობის სახლისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობების დასაცავად თბილისის არტილერიის მეთაურთა სასწავლებლის და „ოუც"-ის ქვეგანაყოფები 13-ჯერ (ცამეტჯერ) იყო გამოყენებული.

კონკრეტულად, 1988 წლის 11 ნოემბერს მე მიმიწვიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს კპ ცკ-ის ბიუროს ყველა წევრი და პარტიის რაიკომების ყველა მდივანი.

ქალაქში გართულებულ სიტუაციასთან და დაგეგმილ 100-ათასიან მიტინგთან დაკავშირებით, იმის შიშით, რომ ვითარება კონტროლიდან გამოვა, ამხ. ბ.ვ. ნიკოლსკიმ წინადადება მოგვცა მოგვეშველიებინა ჯარები და განგვეხორციელებინა სადემონსტრაციო მოქმედება — გაგვეტარებინა ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები ქალაქ თბილისის ქუჩებში. ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები ამის შემდეგ დაგვეყენებინა ლენინის მოედანზე, მთავრობის სახლისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობებთან".

ნოემბერში ჯარების მოშველიება ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ, აპრილში განხორციელდა ყველა წინადადება, რომლებიც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტში გამოითქვა ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში; სამხედრო ტექნიკის დემონსტრაციაც, არმიის მოშველიებაც მიტინგების გასარეკად. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ამ აქციების ორგანიზატორებმა მიაღწიეს მხოლოდ იმის აშკარად საპირისპირო შედეგს, რისი იმედიც ჰქონდათ.

მაგალითად, სამხედრო ტექნიკის დემონსტრაცია 8 აპრილს, შუადღისას. რა შედეგი მოიტანა მან? ჯერ ერთი, სამხედროები გაწბილდნენ, ვინაიდან ხალხით სავსე ქალაქის ქუჩებში ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები ძლივს მიღოღავდნენ. ბევრგან ახალგაზრდობა ასფალტზე დაწვა და კოლონას გზა გადაუღობა. მიღებული ჰქონდა რა ბრძანება მხოლოდ ქუჩების გასავლელად, და არა გამოსვლების ჩასახშობად, კოლონა იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. მოხვევისას ერთ-ერთი ჯავშანტრანსპორტიორი გზისპირა თხრილში ჩავარდა, ხალხმა სიცილ-ხარხარით ამოათრია იგი გზაზე და დაატოვებინა იქაურობა. ყოველივე ამას დაუყონებლივ აცნობებდნენ მოედანს. და ხალხი აღტაცებით აღიქვამდა მომხდარს როგორც თავის გამარჯვებას.

ჯარების გავლის დილის ინციდენტს ერთბაშად მოჰყვა რამდენიმე ნეგატიური შედეგი, რომლებმაც ტრაგედიის ფინალი დააჩქარა. ჯერ ერთი, მიტინგის ორგანიზატორები და მონაწილეები დარწმუნდნენ, რომ შესაძლებელი ყოფილა ჯარების მოქმედების დადამბლავება. რამაც უკარნახა მიტინგის ორგანიზატორებს გარეკვის მომენტში ღამით ნახმარი ტაქტიკა: მიწაზე დასხედით, ისინი ხელსაც ვერ გახლებენო! ამან უდავოდ გააძლიერა ჭეჭყვა და არეულობა, როდესაც მაინც გაბედეს მათთვის ხელის ხლება, რამაც თავის მხრივ, დაამძიმა შედეგი.

მეორე, ემოციები, რომლებიც უკვე ცხრებოდა, გამოცოცხლდა, მომიტინგეებს შეუერთდა უამრავი ხალხი, რომლებიც აქამდე მიტინგში არ მონაწილეობდნენ. ამის შედეგად, თუ ჩვეულებრივ დილისთვის რჩებოდა 100-200 კაცი (არადა, სწორედ ამის იმედი ჰქონდათ მიტინგის ალმკვეთი აქციის ორგანიზატორებს), 8 აპრილს ღამით მოედანზე დაახლოებით 15 ათასი კაცი შეიყარა. ხალხის ასეთმა თავშეყრამ ხელისგულისოდენა სივრცეზე, რომელსაც მოედანი მხოლოდ პირობითად შეიძლება უწოდო, ასევე გავლენა მოახდინა შედეგების დამძიმებაზე.

და, ბოლო, მესამე, დამცირებას და შეურაცხყოფას, რასაც ჯარისკაცები და ოფიცრები დილისით, სადემონსტრაციო აქციის დროს განიცდიდნენ, არ შეიძლებოდა არ გაევავებინა ისინი და ამანაც იჩინა თავი ღამის მოქმედებაში, მიტინგის გარეკვის დროს.

მაინც, ვის მოუვიდა აზრად ასეთი დემონსტრირების ჩატარება?

სამწუხაროდ, ერთგვაროვანი პასუხი ამ აქციის ინიციატორებზე ჩვენ მაინც ვერ მივიღეთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამხედრო ტექნიკის ასეთივე დემონსტრაციები იმავდროულად მოეწყო აგრეთვე ბალტიისპირეთის მთელ რიგ ქალაქებში, ძნელი არ არის მიხვდე, თუ საიდან მომდინარეობდა ინიციატივა და, როგორც ჩანს, შესაბამისი სატელეფონო განკარგულებანი, ვინაიდან არავითარი დოკუმენტური კვალი ჩვენ არ გვინახავს.

აი, ამონარიდი აღნიშნულ საკითხზე ჩვენი საუბრების სტენოგრამებიდან.

კითხვა: იყო თუ არა ბიუროზე მსჯელობა ქალაქში სამხედრო ტექნიკის გავლის შესახებ?

ჯ. პატიაშვილი

დიახ, ასეთი მსჯელობა, კაცმა რომ თქვას, იყო, მაგრამ თარიღი და დრო არ განგვიხილავს.

კითხვა: 8 აპრილს მოეწყო სამხედრო ტექნიკისა და სამხედრო ძალების დემონსტრაცია თბილისის ქუჩებში. ვინ მიიღო გადაწყვეტილება?

ბ. ნიკოლსკი

ვერ გეტყვით.

კითხვა: ინიციატორი ვინ იყო?

ბ. ნიკოლსკი

მე არ ვიცი. ჩვენთვის ეს რაღაც მოულოდნელად მოხდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №158-169.

კითხვა: მაშასადამე, თქვენ არ იცით, ვინ მიიღო გადაწყვეტილება?

ბ. ნიკოლსკი

არ ვიცი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს მოხდა სადღაც აქტივის მიმდინარეობის დროს, 12-13 საათზე.

კითხვა: თქვენთვის ეს აქცია სიურპრიზი იყო?

ბ. ნიკოლსკი

დიახ. სიურპრიზი იყო.

კითხვა: მთელ რიგ ახსნა-განმარტებებში ბიუროს წევრები ამბობდნენ, რომ ზუსტად არ ახსოვთ, მაგრამ წინადადება სამხედრო ძალის საჭიროებისა და დემონსტრირების შესახებ თქვენგან მომდინარეობდა.

ბ. ნიკოლსკი

ჩემი აზრით, ეს რაღაც ფანდია. და კიდევ — როგორ მივიღებდი მე ასეთ გადაწყვეტილებას, მე ხომ ამდენი ძალაუფლება არ გამაჩნია?

კითხვა:

გენერალი როდიონოვი და გენერალი კოჩეტოვი — ორივენი ერთხმად ამტკიცებენ, რომ 7 აპრილს საღამოს, თბილისში ჩამოფრენისთანავე, ისინი შეგხვდნენ თქვენ და ამხ. პატიაშვილს. და სწორედ მაშინ გადაწყდა სამხედრო ტექნიკის დემონსტრაციის საკითხი. ეს შეეფერება სინამდვილეს?

ბ. ნიკოლსკი

არა, ვერ გეტყვით. ჩემი იქ ყოფნის დროს ასეთი ლაპარაკი არ ყოფილა. თანაც, ჩვენ ერთმანეთს შევხვდით არა ოთხნი, არამედ შევხვდით ბიუროს წევრებთან ერთად 19.30-ზე. სწორედ ამ ბიუროს სხდომაზე მოვიდნენ ამხ. კოჩეტოვი და ამხ. როდიონოვი.

კითხვა: და იქ არ ყოფილა ლაპარაკი ტექნიკის დემონსტრაციაზე?

ბ. ნიკოლსკი

არა.

კითხვა: და უკანასკნელი შეკითხვა. გულისხმობთ თუ არა თქვენ, რომ პოლიტიკური სიტუაციის შეფასებისას ძალის გამოყენების გადაწყვეტილების მიღების საჭიროება განაპირობა იმან, რომ არსებობდა ხელისუფლების დამხობის საფრთხე?

ბ. ნიკოლსკი

დიხ, მე ვფიქრობ, რომ არსებობდა.

აი, რას ამტკიცებდა, თავის მხრივ, კომისიისათვის გაცემულ პასუხებში გენერალი ი. როდიონოვი:

„დილით 08.04-ის ბიუროზე ცალსახად გადაწყდა — გაგვეთავისუფლებინა რუსთაველის პროსპექტი, იმიტომ, რომ ვითარებას განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვებოდა. ამ სხდომაზე ნიკოლსკიმ წამოაყენა წინადადება, რომელსაც ყველამ დაუჭირა მხარი, — მოგვეწყო ჯავშანტრანსპორტის დემონსტრირება. სხვა წინადადებები არ ყოფილა. მე ვუბრძანე კუზნეცოვს შეეთანხმებინა საკითხი გორგოძესთან (საქართველოს შსს მინისტრი) და განეხორციელებინა ეს აქცია.



УУР МВД ГССР
УООП МВД ГССР
СИО МВД ГССР
УВД Тбилгорисполкома

Для обеспечения правопорядка в ходе проведения операции по удалению участников несанкционированного митинга у Дома правительства согласно распоряжения Совета Министров ГССР № 24рс от 8/04-89 года.

ПРЕДЛАГАЮ:

1. Зам. начальника УООП МВД ГССР т.Цицкаладзе Ш.А., начальнику УВД Тбилгорисполкома тов.Гвенцадзе Р.А. выставить 250 работников милиции для обеспечения охраны здания Дома правительства, а также эвакуации участников голодовки и их доставки в медицинские учреждения.

2. Зам.Начальника УВД Тбилгорисполкома тов.Паламберадзе Г.Г. обеспечить с приданными силами 160 чел. вывод голодающих от здания Гостелерадио и их доставку в мед.учреждения.

3. Начальнику УУР тов. Варданашвили Т.Н. организовать задействование оперативной группы в составе 125 человек для своевременного задержания организаторов и активных участников несанкционированного митинга.

Данную работу проводить во взаимодействии с УВД Тбилгорисполкома.

4. Оперативному штабу (т.Сидамонидзе Т.В.) обеспечить организацию доставки нужного количества транспорта для эвакуации голодающих граждан в городскую республиканскую больницу и установить контроль за выполнением данного указания.

Министр внутренних дел ГССР
генерал-лейтенант в/с Ш.Горгодзе

«8» апреля 1989г.
№18
копия верна: Инспектор Секретариата МВД Грузинской ССР М.Диланян

Распоряжение Министра внутренних дел ГССР от 8 апреля 1989г. № 18 для обеспечения правопорядка в ходе проведения операции по удалению участников несанкционированного митинга у Дома правительства

კიდევ ერთი ჩვენება — ძერჟინსკის სახელობის საგანგებო დანიშნულების ცალკეული მოტომსროლელი დივიზიის — ОМСДОН-ის მეთაურისა:

„07.04.89 19 საათსა და 50 წუთზე მივიღე ამხ. როდიონოვის ბრძანება, ჩავსულიყავი თბილისში, შემდეგ კი ამხ. ოჩალოვის დაშიფრული დეპეშა თბილისში ვყოფილიყავი 08.04 8 საათისათვის.

7 საათზე უკვე დედაქალაქში ვიყავით.

07.04. 12 საათზე განხორციელდა ტექნიკის დემონსტრაცია:

3 ასეული, 10 დესანტის საბრძოლო მანქანა — ბმდ, 3 მედესანტეთა ასეული ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებსა — ბმპ და ჯავშანტრანსპორტიორებზე — ბტრ. ქალაქის თავზე დაფრინავდნენ შვეულმფრენები. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მოსახლეობის დასაშინებლად.

ტექნიკის გავლის დროს მოხდა შეტაკება: ბმპ-ებმა 3 სამოქალაქო ატომანქანა დააზიანეს".

და ბოლოს, ამ აქციის მონაწილე ოფიცრის — უფროსი ლეიტენანტის პომინოვის ჩვენება:

„მე ერთ-ერთი მანქანის ჯავშანზე ვიმყოფებოდი. ჩვენ ქალაქში გავიარეთ. ჩვენთვის არ აუხსნიათ რატომ. რომ მივდიოდით, გზად გვესროდნენ ბოთლებს, ჯოხებს".

სსრკ პროკურატურის დოკუმენტებიდან
ირაკლი წერეთელი

8 აპრილი (გამოვიდა 8-ჯერ).

მოუწოდებს, რომ მანიფესტაცია განაგრძონ დამოუკიდებლობის მოპოვებამდე. ჩვენ გვაშინებენ არმიით — დაე, მოვიდნენ და ნახონ, რაც მოუვათ. მთავრობა რამდენჯერმე შეეცადა გაემართა მოლაპარაკება, მაგრამ ჩვენ ამას არ დავთანხმდით. შეკრებილთ აცნობებს, რომ დღეს გორკიდან ჩამოიყვანეს გასამხედროებული მილიციის ნაწილები, დაახლოებით 2 ათასი კაცი. ისინი შეიარაღებულნი არიან, ცნობილია, რომ კონსტიტუციის თანახმად, ადგილობრივ ხელისუფალთა თანხმობის მიუღებლად არ შეიძლება დამსჯელი ქვეგანაყოფების შემოყვანა. თუ თანხმობა მიეცათ, მაშინ ისინი ხალხის მტრებად უნდა გამოცხადდნენ. მოუწოდებს ხალხს, არ დაიმალონ.

ამ ისტორიას უკანასკნელი წერტილი დაუსვა გენერალმა კოჩეტოვმა, რომელმაც პასუხისმგებლობა აღნიშნული აქციისათვის თვითონ იკისრა:

„იმისათვის, რომ ხალხისთვის რაღაც გეზი მიგვეცა, იმისათვის, რომ იქნებ, გვეჩვენებინა, რას გამოვიყენებდით, რომ მოედნის გაწმენდაში სამხედროები მიიღებდნენ მონაწილეობას, მე და ჯარების სარდლებმა შევთავაზეთ მოგვეწყო ტექნიკის სადემონსტრაციო მოძრაობა. ამ მიზნით გამოიყო სამი ასეული. ეს ასეულები შსს სახელმწიფო ავტოინსპექციის თანხლებით ქალაქ თბილისის ცენტრალურ ქუჩებში დადიოდნენ.

მას შემდეგ, რაც ამ ქვეგანაყოფების სადემონსტრაციო მოქმედება განხორციელდა, ვითარება, პირდაპირ ვიტყვი, გამწვავდა იმ თვალსაზრისით, რომ მოპირისპირე ელემენტებმა ბარიკადებით გადახერგეს რუსთაველის პროსპექტი და მასზე გამავალი ქუჩები — ჩააყენეს ავტობუსები, თვითმცლელები, დაუშვეს საბურავები, გამოყარეს მძღოლები და სცემეს მათ, ერთი სიტყვით, აღმართეს ბარიკადები, რათა მათთან ვერ მივსულიყავით"

მე სულ მუდამ ვფიქრობ, როგორ შეეძლოთ ხელისუფლებს მოემოქმედებინათ ესოდენ პროვოკაციული აქცია ჯავშანტექნიკის მონაწილეობით, მართლაც, სულ არ უნდა იცნობდე ქართველ ხალხს, მის თავმოყვარეობას, სიამაყეს, რომ შეეცადო ასე უნიჭოდ „მოახდინო ვითარების სტაბილიზება". არადა, კოჩეტოვი თბილისში ჩავიდა სწორედ როგორც საქართველოს მცოდნე. ეტყობა, მართალია, როცა ღმერთი კაცის დასჯას განიზრახავს, პირველად ჭკუასართმევს. ძალის მუქარის პასუხად დედაბრებიც კი დაიძრნენ მოედნისაკენ: აბა რა იქნებოდა, მოშიმშილეთა შორის ძირითადად მათი შვილები და შვილიშვილები იყვნენ.

შვეულმფრენების გრიალი და ტანკების გრუხუნი ქართველებისათვის გაისმა განგაშის ზარად და ახლა უკვე თითქმის არავის არ სურდა, განზე დარჩენილიყო.

ეს დაძაბული დღე მთავრობის სახლის მობინადრეებისათვის თავდაცვის საბჭოს სხდომით დამთავრდა.

თავდაცვის საბჭო — ეს გახლავთ ერთობ სპეციფიკური ორგანო, რომელიც ომის გამოცხადების ან საომარი წესების შემოღების შემთხვევისათვის არის შექმნილი, მასში შეყვანილი არიან თანამდებობის მიხედვით რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

რატომ დასჭირდა სხდომას მაინცდამაინც ამ ორგანოს მოწვევა? ეტყობა, საქართველოს ხელმძღვანელები უკვე თავს გრძნობდნენ ომიანობის დროის პირობებში. მაგრამ მარტო ეს როდია მთავარი.

აი, რა თქვა ამასთან დაკავშირებით გენერალმა როდიონოვმა.

„აქტივის მუშაობის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით 19.00-ზე შეიკრიბა თავდაცვის საბჭოს ყველა წევრი. ზუსტად სიის მიხედვით.

კითხვაზე, „რატომ, სიის მიხედვითო?" ამხ. როდიონოვმა გვიპასუხა 8 აპრილს ბიუროზე გამოითქვა შენიშვნა, რომ ბიუროდან ხდება ინფორმაციის გაჟონვა. ეს რომ არ დაგვეშვა, ამიტომაც იქნა მოწვეული თავდაცვის საბჭო."

თავდაცვის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: ამხ. ამხ. პატიაშვილი, ჩერქეზია, ნიკოლსკი, გუმბარიძე, ჩხეიძე, როდიონოვი, გიორგაძე, კოჩეტოვი, ნოვიკოვი.

იყო თუ არა ამ სხდომაზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. გორგოძე, მას არ ახსოვს.

თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოეწყოთ მოედნის წმენდა 9 აპრილს 4.00-ზე, როდესაც იქ მინიმალური რაოდენობის ხალხი დარჩებოდა. ოპერაციის განხორციელების დრო პირველად განისაზღვრა ამხ. როდიონოვის წინადადებით.

პატიაშვილმა დაახასიათა სიტუაცია. განიხილეს ლიდერთა დაპატიმრების საკითხი. რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ თქვა, რომ ოთხი ძირითადი ლიდერის დაკავების საფუძველი აქვთ. როდიონოვსა და გორგოძეს დაევალათ მოემზადებინათ მოედნის განთავისუფლების გეგმა.

პატიაშვილმა თავდაცვის საბჭოს სხდომასთან დაკავშირებით განმარტა შემდეგი:

„საღამოს თავდაცვის საბჭო მოვიწვიეთ. ჩვენ მოგვახსენეს, რომ სამხედრო ტექნიკის დემონსტრაციის შემდეგ დაუწყიათ სატვირთო ავტომობილებით, ტროლეიბუსებითა და სხვა ტექნიკით რუსთაველის პროსპექტისპირა გვერდითი ქუჩების გადაკეტვა. ამ დროს დარეკა მოსკოვიდან რაზუმოვსკიმ. მან მკითხა, თუ გაქვთო საკმარისად მასალები არაფორმალების დასაპატიმრებლად, და ეჭვქვეშ დააყენა მათი დაპატიმრების საჭიროება. გვირჩია, 2-3 დღეს დაგვეცადა და ფრთხილად მოვკიდებოდით ვითარების შეფასებას.

თავდაცვის საბჭოს სხდომაზე ყველა ამხანაგი გამოვიდა.

დადგა საკითხი, გაგვეფრთხილებინა მოსახლეობა ძალის გამოყენების თაობაზე. ამხ. კოჩეტოვმა თქვა, შსს ჯგუფის ხელმძღვანელმა აღმითქვა, ოპერაცია ისე განხორციელდება, ერთი მუჯლუგუნიც კი არ იქნებაო. თავდაცვის საბჭოზე სავარაუდოდ დადგინდა ოპერაციის დაწყების დრო — 4-დან 6 საათამდე. ოპერაციის დაწყების დროის ზუსტი განსაზღვრა კი ამხ. როდიონოვის შეხედულებისამებრ უნდა მომხდარიყო. ამით თავდაცვის საბჭო დამთავრდა.

თავდაცვის საბჭოზე ჩვენ გვითხრეს, რომ პირველნი უნდა წავიდნენ ქართველი მილიციელები. აი, მერე კი შინაგანი ჯარები. ეს იყო ამხ. ამხ. ნიკოლსკისა და კოჩეტოვის თანდასწრებით."

დაახლოებით იგივეს ამბობდა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მაშინდელი თავმჯდომარე ო. ჩერქეზია:

„თავდაცვის საბჭოს სხდომაზე ბევრი შესვენება იყო. ამხ. პატიაშვილმა თქვა, რომ ელაპარაკა მოსკოვს. საბჭოს სხდომაზე საუბარი ძირითადად იმით ამოიწურებოდა, თუ ვინ დაგვეპატიმრებინა, გარდა ამისა, ამხ. ამხ. როდიონოვს და გორგოძეს დაევალათ შეემუშავებინათ მოედნის გაწმენდის ოპერაციის გეგმა. იგულისხმებოდა დამდეგი ღამე, თუმცა დრო ზუსტად არ დაგვიდგენია. ხაზგასმით აღინიშნა, მოედანი მაშინ უნდა განთავისუფლდეს, როდესაც იქ ყველაზე ცოტა ხალხი იქნებაო. დრო — დილის 4 საათი განიხილებოდა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ამ მომენტში მომიტინგენი წასასვლელად იშლებოდნენ.

ოპერაციის დაწყების ზუსტი დრო მე არ ვიცოდი. არ იცოდა ეს არც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ. გარდა ამისა, ამხ. გუმბარიძესთან მუდმივი საუბრებიდან ირკვეოდა, რომ ოპერაციის დაწყების დრო არც ამ უკანასკნელმა იცოდა.

პრინციპულად, თავდაცვის საბჭოს მთელი სხდომა ამოიწურა ამხ. ამხ. როდიონოვისა და გორგოძისადმი დავალებით-შეემუშავებინათ ოპერაციის გეგმა. ამავე დროს არაფორმალების ლიდერებმა, ეტყობა, იცოდნენ ოპერაციის დაწყების დრო.

საკითხი საჭიროების შემთხვევაში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე 7 აპრილს განვიხილეთ. კატეგორიული საწინააღმდეგო მოსაზრება მაშინ არ ყოფილა".

ამ ახსნა-განმარტებაში ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს არც კი დაუსვამს თავისი თავისთვის კითხვა, რამდენად კანონიერი იქნებოდა ამგვარი ოპერაციის მოწყობა. არადა, თანამდებობის მიხედვით სწორედ ის იყო ვალდებული შეეხსენებინა შეკრებილთათვის, რომ აუცილებელია დაიცვან საქართველოს და სსრ კავშირის კონსტიტუციებით გათვალისწინებული საგანგებო მდგომარეობის შემოღებისა და მოსახლეობის წინააღმდეგ დაგეგმილ ოპერაციაში ჯარების მოზიდვის წესი.

თუმცა, რას უნდა ელოდე ასეთი რესპუბლიკის ხელმძღვანელებისგან, რომლებმაც, თუ მომხდარი ამბის შემდეგ მათს ახსნა-განმარტებას დავუჯერებთ, უფრო ნაკლები იცოდნენ, ვიდრე არაფორმალებმა, ოპერაციის დაწყების დროის შესახებ, ოპერაციის გეგმის შესახებ და იმის შესახებ, თუ ვინ და როგორ ატარებს მას.

8 აპრილის ღამე — 9 აპრილის დამდეგი

ამრიგად, მიტინგის ალკვეთის ოპერაცია დამამთავრებელ სტადიაში შედიოდა. თათბირები მოეწყო, გადაწყვეტილებები მიღებულია, ჯარები თავმოყრილი და გამზადებულია მოქმედებისათვის.

ახლა შესამუშავებელი და განსახორციელებელი იყო მხოლოდ ოპერაციის დეტალური გეგმა. აი, როგორ მოხდა ეს.

კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან.
გენერალი ი. როდიონოვი

„8 აპრილს 21.40-ზე ჩემს კაბინეტში განისაზღვრა მოქმედების ჩანაფიქრი. აქ იყვნენ ამხ. ამხ. კოჩეტოვი, კუზნეცოვი (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის პირველი მოადგილე), ნოვიკოვი, სამსონოვი, ეფიმოვი (სსრკ შინაგანი ჯარები).

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. გორგოძე ამ დროს არ ყოფილა. მოქმედების ჩანაფიქრი ამხანაგებს მე შევთავაზე. მოქმედების გეგმის დამუშავება დაევალა ამხ. ეფიმოვს, მასვე დაახლოებით 22.00-ზე უნდა გადაეცა ამხ. გორგოძისათვის დავალება — გაეწმინდათ მოედნის მისადგომები.

თუ როდის დაისვა მოქმედების გეგმაზე ამხ. გორგოძის ხელმოწერა, ამხ. ეფიმოვმა იცის.

23.45-ზე გეგმა მე დავამტკიცე.

3 საათსა და 20 წუთზე ლენინის მოედანზე მივედი. რუსთაველის პროსპექტზე ვერ მოვხვდი, ვინაიდან გასასვლელები ჩაკეტილი იყო საბურავდამშვებული დატვირთული ტრანსპორტის რიგებით. 3 საათსა და 30 წუთზე ამხ. ამხ. ეფიმოვმა და კუზნეცოვმა მომახსენა, რომ ჯარები მზად არიან და პროსპექტზე ვ. ი. ლენინის ძეგლის მხრიდან მოხვედრა შეუძლებელიაო. სამხედრო ტექნიკის მეშვეობით გავწმინდეთ ხერგილები.

აქტივზე ამხ. პატიაშვილმა სიტყვიერად დააკისრა პასუხისმგებლობა ქალაქის ხელმძღვანელობას და შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალის გამოყენებისა და ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირებისათვის, თუ ძალას გამოიყენებდნენ.

09.04 3.20-ზე მე ლენინის მოედანზე მივედი, ჯარები საწყის პოზიციას იკავებდნენ.

ჩემდა გასაოცრად, რუსთაველის პროსპექტის მისადგომები, მათ შორის გვერდითა ქუჩებიდან გამოსასვლელები გადაეკეტათ სამ რიგად დაყენებულ ლორლითა და რკინაბეტონით დატვირთულ თვითმცლელებს, საბურავდაშვებულ ავტობუსებს, ხოლო ხალხი მოდიოდა და მოდიოდა მთავრობის სახლთან.

3 საათსა და 30 წუთზე რადიოკავშირით მიპოვა ამხ. პატიაშვილმა. მე მოვახსენე ვითარების სირთულე: ხალხია 8-10 ათასი კაცი, მისადგომები ბარიკადებით არის ჩახერგილი, მოსალოდნელია ძალისმიერი წინააღმდეგობა. პატიაშვილმა მითხრა, რომ ახლა კათალიკოსი ილია მეორე გამოვიდაო, და მკითხა, რა ექნათო? მე ვუპასუხე, რომ საჭიროა შევასრულოთ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება.

4.00-ზე, გაწმინდეს რა მანქანების ხერგილი, შინაგან ჯარების ქვეგანაყოფები დაიძრნენ რუსთაველის პროსპექტზე, ხოლო შინაგანი ჯარის ქვეგანაყოფებს მისდევდა საბჭოთა არმიის პოლკი, რომელსაც ჯავშანტექნიკა მოჰყვებოდა. შინაგანი ჯარების მოქმედებას ხელმძღვანელობდა გენერალი ეფიმოვი.

რუსთაველის პროსპექტის განთავისუფლების ჩანაფიქრი შემდეგი იყო. ლენინის მოედნის მხრიდან შინაგანი ჯარების ნაწილების და ოთხი ჯავშანტრანსპორტიორის ნელი სვლით განგვედევნა დემონსტრანტები ჭავჭავაძის პროსპექტის მიმართულებით. ხოლო სადესანტო პოლკს, რომელიც შსს ჯარებს მოჰყვებოდა, აეღო მოედნის ობიექტები და თვით რუსთაველის პროსპექტი თავისი დაცვის ქვეშ. ჩვენ არ ვფიქრობდით, რომ წავაწყდებოდით დიდ წინააღმდეგობას, ვინაიდან წინა დღეებში ამავე დროს მოედანზე 1 ათას კაცზე მეტი არ იყო ხოლმე. მილიციის, შინაგანი ჯარებისა და მედესანტეების ერთობლივი მოქმედების გეგმა მე შევადგინე და დავამტკიცე.

კითხვა: თქვენთან რადიოკავშირის დროს ხომ არ გამოუთქვამს ამხ. პატიაშვილს წინადადებანი ოპერაციის გადატანის მესახებ?

ი. რ.

არა. მხოლოდ ეჭვებს გამოთქვამდა.

კითხვა: ხომ არ შეიძლებოდა ოპერაციის გადატანა?

ი. რ.

არა! მდგომარეობა დაძაბული იყო, აუცილებლად უნდა აგვეღო დაცვის ქვეშ ობიექტები და ა.შ. მომხდარი ამბების შემდეგ ყველანი თავს არიდებენ პოლიტიკურ შეფასებას, იქამდე მიდიან, რომ ამბობენ, ეს მშვიდობიანი სეირნობა იყოო. მაგრამ ვითარება ისე იყო დაძაბული, ჯარები რომ წასულიყვნენ, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა.

გენერალი ი. ეფიმოვი

„8 რიცხვში, სადღაც 21 საათისათვის ჩვენ კვლავ გამოგვიძახეს შტაბში, სადაც არმიის გენერალმა კოჩეტოვმა და გენერალ-პოლკოვნიკმა როდიონოვმა გამოგვიცხადეს, რომ მოეწყობა ოპერაცია ხალხის უკანდასახევინებლად მთავრობის სახლის წინამდებარე მოედნიდან და რუსთაველის პროსპექტიდან."

კითხვა: მაშასადამე ამ დრომდე არავითარ ოპერაციაზე არ ყოფილა ლაპარაკი.

ი. ე.

15 საათზე ითქვა, რომ შესაძლოა ოპერაცია მოეწყოსო, მაგრამ არც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებაზე და არც რაიმე სხვა ორგანოზე ლაპარაკი არ ყოფილა, „ცეკას ბიურო", „ცეკას ბიურო", „ცეკას ბიურო"! არც მინისტრთა საბჭო, არც პრეზიდიუმი, მათ არავინ არ ახსენებდა.

8 აპრილს 15 საათამდე მე ვიყავი შინაგან საქმეთა სამინისტროში, თვალყურს ვადევნებდი ვითარებას. 15.00-ის შემდეგ ამხ. მაქსიმოვთან ერთად ოლქის შტაბში წავედით, ამხ. გორგოძე დარჩა.

კითხვა: რატომ წახვედით შტაბში, თქვენ ხომ იმათ არ ექვემდებარებოდით?

ი. ე.

7 აპრილს ოლქის სარდალმა გვითხრა, ხვალ შტაბში უნდა იყოთო.

კითხვა: რა საფუძველზე?

ი. ე.

ლოგიკით მივხვდით, რომ ამხ. როდიონოვისათვის დაუკისრებიათ საერთო ხელმძღვანელობა.

ოლქის შტაბში მისვლისას ამხ. კოჩეტოვმა დაახლოებით 15.00-ზე გვაცნობა, რომ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მითითებით წესრიგის დამყარებისა და უზრუნველყოფის ღონისძიებების საერთო ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვს, და ამოცანის დასაყენებლად ამხ. როდიონოვს მისცა სიტყვა.

აპრილის აქციის მონაწილეთა სოლიდარობის მიტინგი ვილნიუსში

KIMISKO VIELU LIETOŠA
GRUZIJAS NOTIKUMI NOZIEGUMS PRET PADOMJU TAUT
KUR PALIKA CILVĒKTIESĪBAS GRUZIJĀ?

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.

(გაგრძელება იქნება)

ნარკომანია

პირველი ნაბიჯი გადადგმულია

საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ახლახან შეიქმნა ნარკომანიის გავრცელების, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა, რომელიც შეიმუშავა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ ეროვნულ ბიუროში. საქინფორმის კორესპონდენტს ესაუბრა ბიუროს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი ჯემალ ჯანაშია.

ქვეყნის ცხოვრებაში სადღეისოდ ძირითადი სტრატეგიული მიმართულება მიიღო ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლამ — თქვა მან,— ნარკომანიამ აქ ბოლო 5-6 წლის განმავლობაში უაღრესად საშიშ მასშტაბს მიაღწია. სამწუხაროდ, საქართველომ იმთავითვე მიიპყრო საერთაშორისო ნარკობიზნესის ყურადღება, როგორც აღმოსავლეთიდან დასავლეთში ნარკოტიკების გადატანის მარშრუტის შემადგენელმა რგოლმა. ამ მიზნით ამჟამად ძალიან აქტიურად იყენებენ აფხაზეთის ტერიტორიას, საიდანაც მომაკვდინებელი ტვირთი გადააქვთ თურქეთში, ხოლო იქიდან — დანიშნულებისამებრ. ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლაში უმოკლეს ხანში მაქსიმალურ სასურველ შედეგებს უნდა მივაღწიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ახალგაზრდობას საშიშროება ემუქრება. ამიტომაცაა, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ უპირველეს პრობლემად დაისახა ნარკომანიასთან ბრძოლა.

შემუშავებული პროგრამის საფუძველზე უკვე განვახორციელეთ ორგანიზაციული ღონისძიებები — შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომლის შემადგენლობაში ფუნქციონირებს ორი მუდმივი სამუშაო ჯგუფი — ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლისა და ნარკომანთა მკურნალობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციისა.

პირველ ჯგუფში შევიდნენ იუსტიციის სამინისტრო, პროკურატურა, უშიშროების სამინისტრო, საბაჟო დეპარტამენტი და, ყველა ის სტრუქტურა, რომელსაც შეხება აქვს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ამ სფეროში ამყარებს წესრიგს, ხელმძღვანელობ მე, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფს სათავეში უდგას ბატონი გელა ლეჟავა. ამ ჯგუფში შევიდნენ სოციალური და სამედიცინო დოკუმენტაციის განმსაზღვრელი უფლებები, სამინისტროები. გარდა ორგანიზაციული ღონისძიებებისა.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სამართლებრივ უზრუნველყოფას. საჭიროა ისეთი კანონები გვქონდეს, რომლებიც ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ერის დამცველი მექანიზმი იქნება ნარკოტიკების შემოტევისაგან. ასეთი კანონები კი უკვე შემუშავებულია და გადაწყვეტილი გვაქვს, რომ სექტემბრის ბოლოს განსახილველად გადავცეთ პარლამენტს. ეს არის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დამუშავებული კანონები, რომლებითაც რეგლამენტირებული იქნება საქმიანობა ამ სფეროში და ისინი დაეხმარება ოპერატიულ სამსახურებს, რათა მაქსიმალურად, ეფექტიანად ებრძოლონ ჩვენი დროის უმთავრეს პრობლემას — ნარკომანიას.

მეორე დადებითი მხარე ის არის, რომ მას უნდა მოჰყვეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება: უნდა გვქონდეს შესაბამისი სპეციალური ტექნიკა, რომელიც დაგვეხმარება ჩავერთოთ ნარკობიზნესთან ბრძოლის საერთაშორისო სისტემაში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩემი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც აგვისტოს ბოლო რიცხვებში შედგება. შეხვედრები ნარკობიზნესთან ბრძოლის დეპარტამენტში იმის რეალური საფუძველი იქნება, რომ მაქსიმალურად გავაანალიზოთ იქ არსებული გამოცდილება და დავნერგოთ იგი ჩვენს ქვეყანაში.

გულიკო მარკოზაშვილი,
საქინფორმის კორ.

ხსოვნა

ილია ურუშაძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ვეტერანი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, სახელმწიფო ჯილდოების კავალერი, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი **ილია გიორგის ძე ურუშაძე.**

ილია ურუშაძე დაიბადა ლანჩხუთში, 1914 წელს, 1930 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის ტექნიკუმი ტექნიკოს-ელექტრიკოსის სპეციალობით, რის შემდეგ მუშაობდა ხაშურის ელექტროდეპოს ელმავლის მემანქანის თანაშემწედ, შემდეგ კი სამტრედიის რკინიგზის სადგურის ელექტროდისპეტჩერად.

ილია ურუშაძე 1937 წლიდან 1953 წლამდე მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში. იგი ამ პერიოდში ხელმძღვანელობდა რიგ რაიონებში უშიშროების სამსახურს ლანჩხუთში, იყო ქალაქ ქუთაისის საქალაქო განყოფილების უფროსი, შემდეგში დაწინაურდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უშიშროების მინისტრად, ასევე ეკავა სხვა პასუხსაგები თანამდებობები უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში.

პენსიაში გასვლის შემდეგ დაამთავრა მოსკოვის ვაჭრობის ინსტიტუტი ეკონომისტის სპეციალობით, იყო პროფკავშირების, „თბილტანსაცმელვაჭრობის" საქართველოს პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული.

ბატონი ილია იყო მაღალი ზნეობის, პრინციპული და გულთბილი პიროვნება, ოჯახის და მეგობრების მოყვარული, მათი პატივისმცემელი და გულითადი მეგობარი. მასთან ურთიერთობა დაუვიწყარი და მოსაგონარია.

ბატონი ილიას ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი ახლობლებისა და მეგობრებისათვის.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო; საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ვეტერანთა საბჭო.

ხსოვნა

გური ჭიჭინავა

გარდაიცვალა აფხაზეთიდან დევნილი, სოხუმის რაიონის გამგეობის კულტურის განყოფილების გამგე, კულტურის დამსახურებული მუშაკი, პერსონალური პენსიონერი **გური სერგოს ძე ჭიჭინავა.**

დაიბადა 1928 წელს მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში.

სოხუმის პედინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა რაიონის პარტიულ, სახელმწიფო ორგანოებში, ბოლოს სოხუმის რაიონის გამგეობის კულტურის განყოფილების გამგედ.

გური ჭიჭინავა იყო სპეტაკი პიროვნება, სანიმუშო მოქალაქე, შესანიშნავი მეოჯახე, მშობლიურ აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებულს, მისი დაცემის წინა დღემდე არ დაუტოვებია სოხუმი და უფროსი ვაჟის, პროფესიით ექიმის, ძვირფასი საფლავი. 1994 წლის ოქტომბრიდან იგი თბილისში ცხოვრობდა, საკუთარ კერაზე დაბრუნების ამაოდ მომლოდინე. იყო ჩუმი და უპრეტენზიო, ავადმყოფი გულით კი დაატარებდა უსაშველო პირად და საქვეყნო ტკივილებს.

ვეღარ გაუძლო ამ ტკივილებს სიყვარულისა და სიკეთის მსახურად მოვლინებული მართალი კაცის გულმა...

წავიდა ჩვენგან გური ჭიჭინავა და, აფხაზეთიდან დევნილი ასეულობით სხვა ქართველის მსგავსად, თან წაიღო ოცნება აუხდენელი, დაუმსახურებლად შეურაცხყოფილი კაცის უსაზღვრო სევდა და ნაღველი, ოჯახს, კოლეგებს, ნაცნობ-მეგობრებს კი დაუტოვა სამარადისო ხსოვნა და უმწიკვლო ცხოვრების მაგალითი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო.

ვალენტინა ხარბედია-ღოღობერიძე

22 წლის მანძილზე მუშაობდა ქალბატონი **ვალენტინა ხარბედია-ღოღობერიძე** მთაწმინდის (ყოფილი კალინინის) რაისაბჭოს ალმასკომში.

მისი შრომითი საქმიანობა დაიწყო საქმისმწარმოებლიდან და დასრულდა საერთო განყოფილების გამგის თანამდებობით.

ალმასკომში მოსვლის პირველი დღიდან შეიყვარა იგი კოლექტივმა, სადაც იცვლებოდნენ თაობები, მაგრამ იგი ყოველთვის რჩებოდა ქალბატონ ვალიად და უფრო ხშირად კი დეიდა ვალიად ყველასათვის.

დაუზარელად იხარჯებოდა მეგობრებისათვის, ახლობლებისათვის, თანამშრომლებისათვის, სიკეთის მთესველს სხვანაირად არ შეეძლო.

ოჯახის ჩინებული მეუღლე, დედა და ბებია საზოგადოებაშიც განსაკუთრებული სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა. სამსახურიდან წასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია კონტაქტები გამგეობის კოლექტივთან.

რაოდენ სამწუხაროა, რომ აღარ შემოგვეხმიანება, აღარ გაგვამხნევებს, ჩვენც არ ვიცით, რითი გავინელოთ სევდა. ერთი კია, არ დავიწყება, ხსოვნა იქნება მისი და ლამაზ მოგონებად დარჩენილ მასთან ერთად გატარებულ წლებს სიკვდილი ვერ გააფერმკრთალებს.

მთაწმინდის რაიონის გამგეობა.

შვილები გივი, ციცო, ნიკო, შვილიშვილები ლევანი, ქეთინო, ვახტანგი, სოფიკო, სალომე, რძლები ლია მაისურაძე, მედანო ტორონჯაძე, მაია ყიფიანი, სიძეები თემო თავართქილაძე, თემურ გადაბაძე, დათო იაშვილი, მიშა ასათიანი, ძმისწული დოდო, მაზლიშვილები ავთო, მარინა ლეკიშვილები, მულიშვილები ეთერ ბოჭორიშვილი, ჯულიეტა, ზურიკო მოწონელიძეები, მძახლები ლედი, დავით ტორონჯაძეები, ქეთო თავართქილაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან ილიას ასული ლეკიშვილი

პანაშვიდი 22, 23 VIII, 5 ს., გამოსვენება 24 VIII, 3 ს. კარგარეთელის ქ. № 3ა.

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ ნიკო ლეკიშვილს დედის

ქეთევან ლეკიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ნუგზარ ენდელაძის ოჯახს

ვახტანგ ილარიონის ძე მახარაძის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 21 VIII, 5 ს., გამოსვენება 22 VIII, 4 ს. ყიფშიძის 16, კორპუსი 1.

შვილი ჯილდა გურგენიძე, შვილიშვილები ეკა, დათო გურგენიძეები, შვილთაშვილები დათო, ანა, გიორგი, და თამარა ბარბაქაძე, სიძეები ზაურ გურგენიძე, რამაზ ჭადაშვილი, რძლები მარინა თოფურია, ანიკო ცხოვრებაშვილი, დისწულები მარინა მათაშვილი, როზა ცოვრებაშვილი, ძმისწულები ტარიელი, ავთო ბარბაქაძეები, მამიდაშვილები გრეტა, ანიკო, ბიძაშვილი ლევან ბარბაქაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ევგენია (ჟენია) ანდრიას ასული ბარბაქაძე-კალაძე

პანაშვიდი 22, 23 VIII, 5 ს., გამოსვენება 24 VIII, 3 ს. ფალიაშვილის 48.

ჩოგანი

ატლანტის გაკვეთილები

სპორტის არაერთ სახეობაში გვყავს დიდოსტატები, ასე ვთქვათ, ყველა დროის სპორტსმენები. მოკლედ, მარადიული, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის. წყალბურთში ასეთი გახლავთ ნოდარ გვახარია, სპორტის დამსახურებული ოსტატი და კიდევ მრავალსპორტულტიტულიანი. იგი დღესაც საყვარელ საქმეს ემსახურება, ოღონდ ქვეყნის უმაღლეს ორგანოში: არის საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის სპორტის ქვეკომიტეტის წამყვანი სპეციალისტი. „ატლანტის ოლიმპიადა სპეციალისტის თვალით" — ეს თემა სახარბიელო გვეჩვენა და სასაუბროდ ნოდარ გვახარიას ვეწვიეთ.

— მწარე ხუმრობის ნებას თუ მისცემ კაცი თავს, შეიძლება თქვა, რომ ჩვენმა ოლიმპიელებმა 260 ათასი დოლარი დაუზოგეს ქვეყანას: 150 ათასი — 3 ოქროს მედალი, 90 ათასი — 3 ვერცხლის მედალი, 20 ათასი — ერთი ბრინჯაოსი, 260 ათასი დოლარით კი 300 ტონა მაზუთი მაინც ხომ მოგვივა, თბილისს რომ ვუყიდოთ — იმ რაოდენობის საწვავი, ერთმა იქაურმა ბოსმა რომ „მოტეხა"... თქვენ თუ გჯეროდათ 3+3+3 ფორმულისა, ანუ 9 მედალსა? ალბათ აქაც, როგორც გვეჩვევია, ვერ მოვზომეთ?

— ჩვენი ხალხი (ნამდვილ პატრიოტებს ვგულისხმობ) ორჯერ მეტსაც გაიღებდა, ოღონდ კი ერთი-ორი ოქროს მედალი ჩამოგვეტანა ატლანტიდან, ოლიმპიადა ხომ მარტო სპორტული ღონისძიება არ არის, იგი დიდი პოლიტიკის საგნადაც იქცა. ახლა, როცა დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, რამდენი სიხარული იქნებოდა, თუ ჩვენს დროშას ალმართავდნენ და ჩვენს ჰიმნს შეასრულებდნენ. მსოფლიოში ხომ მრავალზე მრავალმა ადამიანმა არც კი იცის, სად არის საქართველო და არის თუ არა ასეთი სახელმწიფო. ოქროს მედალი მათ მსოფლიოს რუკასთან მიიყვანდა... მახსენდება, დიდი ხნის წინათ როგორ მითხრა კუბის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ — ჩვენ სპორტის მეშვეობით მივაღწიეთ აღიარებასო...

კი ბატონო, ვილაპარაკოთ ქართველი ოლიმპიელების წარუმატებლობის მიზეზებზე, მაგრამ ნაჩქარევ განცხადებებს ნუ გავაკეთებთ. ამას ყველაფერს სპეციალისტთა ღრმა ანალიზი სჭირდება; ნუ მიწყენს ზოგიერთი სპორტული ჟურნალისტი და ზოგიერთი ექსპერტი: რასაც ისინი ზოგჯერ წერენ და ლაპარაკობენ, ეს უბრალო გულშემატკივარსაც შეუძლია და ხანდახან უფრო დამაჯერებლადაც კი... ალბათ დადგება დრო და საფუძვლიან გარჩევასაც ვისწავლით, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ ვხედავ.

აგერ, ღამის ახალი ცნება შემოვიღეთ — „ხახალეიშვილის ეფექტი"; რა თქმა უნდა, იმ შემთხვევამ ყველაზე ცუდად იმოქმედა, მაგრამ ყველაფერი მას დავაბრალოთ? ერთი კვირის შემდეგ ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა ელდარ კურტანიძემ სამხრეთკორეელთან წააგო თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. მე, როგორც სპორტის მკოდნეს, ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს ხახალეიშვილის შემთხვევის გავლენით მოხდა. უბრალოდ, არ ვიცოდით ვინ არის კიმ-იკოჰი, როგორ ჭიდაობს და ტაქტიკური შეცდომით წავაგეთ. ეს შენიშვნა სხვა სპორტსმენებსაც ეხება.

ოლიმპიური თამაშებისათვის მომზადება 5-6 თვეში არ შეიძლება. ჩვენ თუ რაიმეს მიღწევა გვინდა, დღესვე უნდა გავშალოთ მუშაობა ახალი ოლიმპიადისათვის, ანუ სიდნეისათვის. დიახ, ეს მთელი მუშაობაა და არა მხოლოდ სამზადისი. უნდა გავარკვიოთ, რომელ სახეობებში მივიღებთ მონაწილეობას, უნდა დამტკიცდეს ოთხწლიანი პერსპექტიული გეგმა და, იქიდან გამომდინარე, — ყოველწლიური. აქ უნდა აისახოს რამდენ საათს ვიმუშავებთ დღეში, რამდენ დღეს — კვირაში, რამდენ კვირას — თვეში და რამდენ თვეს — წელიწადში. ყველაფერს გათვლა დასჭირდება — რამდენ ამხანაგურ შეჯიბრებასა თუ ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას და რამდენ ოფიციალურში და სახელდობრ რატომ.

იმ სახეობებში, რომლებშიც ვაპირებთ გამოსვლას, ახლავე უნდა დაინიშნონ უფროსი მწვრთნელები, მეცნიერები, ფსიქოლოგები, ექიმები, მასაჟისტები. ოთხწლიან ციკლში ხაზს რომ ჩასვამ, ძირითადი შემადგენლობა, ბირთვი, ცხადია, პირველ რიგში სპორტსმენებისა მონიშნული უნდა გყავდეს; აქედანვე უნდა იცოდე, ფუნდამენტურად ვისთან იმუშავებ, თორემ ერთი-ორს ეგებ შეჰვეი კიდევაც.

არ შეიძლება, მთელი წელიწადი ან წლები იშრომოს, იღვაწოს კაცმა და შეჯიბრების წინ მოეხსნას მწვრთნელობისა თუ სხვა ფუნქცია: ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ხომ არც ძველი და არც ახალი, თავთავისი ლოგიკით, არც გაითავისებს...

კიდევ ერთი მაგალითი უნდა მოვიყვანო: თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ერთ გაზეთში წერს: ატლანტაში ასპარეზობის დაწყებამდე 12 დღით ადრე ჩავედით და სტარტის მოლოდინში ბიჭები, ასე ვთქვათ, „გადაიწვნენ". ეს ხომ სერიოზული შეცდომა გამოდის მწვრთნელებისა თუ მეცნიერ-მუშაკებისა. ვინ უკარნახა, ვისი რეკომენდაციით გადაწყვიტეს ეს 12 დღით ადრე ჩასვლა, აკლიმატიზაციის ვადა ხომ ზუსტად უნდა გვცოდნოდა...

— ბატონო ნოდარ, ავიღოთ სათამაშო სახეობები — ვთქვათ, ფეხბურთი, კალათბურთი და წყალბურთი; თუნდაც ბედს გაეღიმა და რომელიმე მათგანში გამოსვლის უფლება მოგვეპოვებინა. ახლა, როცა სხვა გუნდები ვნახეთ და მათი შესაძლებლობანი ვიცით, გვქონდა რამე შანსი? ან ეგებ „ტრანსცენდენტური" კითხვა დავსვა — გონებისა თუ მეხსიერების თვალით რომ ჩვენს უკეთეს წლებს გავხედოთ, რომელი დროის „ვისი" გუნდით არ შევრცხვებოდით ატლანტაში იმავე ფეხბურთში, კალათბურთსა თუ წყალბურთში?

— ვფიქრობ, რომ ამ სამ სახეობაში საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლას შეძლებდნენ: ფეხბურთში, ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც ყიფიანისა და დარასელიას დროინდელი გუნდი. აი, მეორედ რომ გახდნენ კავშირის ჩემპიონები და ევროპის საკლუბო თასი მოიპოვეს, მაშინდელი; კალათბურთში — იმ პერიოდის გუნდი, როცა ბრწყინავდნენ ოთარ ქორქია. ნოდარ ჯორჯიკია და მათი თანამებრძოლები; წყალბურთს რაც შეეხება, აქ უფრო დაწვრილებით მინდა ვილაპარაკო.

წარმატებით იასპარეზებდნენ როგორც ჩემი დროის წყალბურთელები, ისე 75 წლიდან 85-მდე მოთამაშენიც. ბევრმა არ იცის, რომ დაწყებული სადღაც 1957 წლიდან, ჩვენს გუნდს ბარე 10 წლის განმავლობაში თბილისში მატჩი არ წაუგია — არც საკავშირო და არც საერთაშორისო; ხოლო „აქეთა" 10 წელიწადში, 75-დან 85 წლამდე, მოგვიგია ყველა უძლიერეს გუნდთან, ოლიმპიურ, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონებთან იუგოსლავიასთან, უნგრეთთან, ესპანეთთან, ოღონდ მოგვიგია მაშინ, როცა შეხვედრებს ნეიტრალური, უცხოელი მსაჯები მსაჯობდნენ და არა რუსები ან სხვა, ახლანდელი ენით თუ ვიტყვით, დსთ-ელები. ნეიტრალურ უცხოელებში მე გვერდით მსაჯებსაც ვგულისხმობ და წამმზომელებსაც...

ამ სამ გუნდურ სახეობას თუ ენერგიულად მოვკიდებთ ხელს და სწორად ვიმუშავებთ, მწამს, რომ მოვახერხებთ მათ აღორძინებასა და ძველი სახელის დაბრუნებას.

— ჩვენი მარცხის ახსნელად თუ გასამართლებლად ახლა სპორტის მესვეურები ასეთ არგუმენტსაც მიმართავენ: ნორმალურ სახელმწიფოებში სპორტს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება, ჩვენთანო? მე მგონია, ამ დროს მათ ორი მომენტი ავიწყდებათ: ერთი, რომ ჯერ, სამწუხაროდ, ნორმალური სახელმწიფო არა ვართ, მეორეც — „იქ" როცა მაღალი მდგომარეობის პირები მარცხსა თუ სირცხვილს იწვნევენ, ზნეობრიობის პარამეტრსა და საზოგადოებრივ აზრს უწევენ ანგარიშს და „ელემენტარულად" გადადგებიან ხოლმე. ჩვენ ეს გაკვეთილიც ასათვისებელი და გასავლელი გვაქვს...

— ჩემზე თუ იქნებოდა დამოკიდებული, ყველაფერს ერთი ხელის დაკვრით არ მოვკვეთდი და „რეპრესიებს" არ მივმართავდი, თუმცა ზოგი რამე და ზოგი ვინმეც „გადასახედია"...

დღევანდელი სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე **კახი ასათიანი** ბევრს აკეთებს ამ დარგის განვითარებისათვის და ცალკეულ სახეებს დიდ დახმარებასაც უწევს. რასაკვირველია, ჩვენს წარუმატებლობაში მასაც მიუძღვის ბრალი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სწორ დასკვნებს გამოიტანს და სიდნეისათვის მზადების პერიოდში ხარვეზებს გამოასწორებს. ჩემი აზრით, დღეისათვის მან ბევრი ისწავლა, როგორც ხელმძღვანელი გაიზარდა და თავის ადგილზე გახლავთ.

აშკარაა, უნდა გადაისინჯოს დეპარტამენტის მუშაობის სტილი, უნდა გავერკვეთ, შეეფერება თუ არა ზოგიერთი მუშაკი მის ადგილს, უპასუხებს თუ არა მის წინაშე მდგომ მოთხოვნებს. პროფესიონალიზმი თუ არ დამკვიდრდა, პროფესიონალები თუ არ გვეყოლება, ისე საქმე წინ ვერ წავა. ხელმძღვანელი მუშაკები მწვრთნელებზე და მათ გარემოცვაზე იმდენად მაღლა უნდა იდგნენ, რომ მათი კონტროლის და შეფასების უნარი უნდა გააჩნდეთ.

სპორტულ ფედერაციებსაც უნდა მივხედოთ. ფედერაცია, რასაკვირველია, დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ არა უკონტროლო, არა ანარქიული, არავინ არაფერს მომკითხავსო — ასე არ უნდა ფიქრობდნენ. ფედერაციები უნდა დაკომპლექტდეს პროფესიონალებით, საქმის მოყვარულებითა და მცოდნეებით, ამასთანავე — პატრიოტებით.

მე მგონია, რომ გამოწვლილვით უნდა შევისწავლოთ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობა. რა უნდა გაეკეთებინა, რა გააკეთა, რით მივიდა ატლანტამდე, რას აპირებს სიდნეისათვის. ისეთი შთაბეჭდილება არ დარჩეს, რომ **სეოკი** მარტო განაცხადებსა და სპორტსმენებს აგზავნის და სხვა არაფერი მოეკითხება.

ერთობ სავალალოა სპორტული კლუბების მდგომარეობა. რამდენი სამინისტრო ვიცით, რომ ძლიერი, შესანიშნავი სპორტული ტრადიციების მატარებელი კლუბები თუ საზოგადოებები ჰქონდათ. შინაგან საქმეთა სამინისტროს — „დინამო", თავდაცვის სამინისტროს — საკუთარი კლუბი, რკინიგზას — „ლოკომოტივი". არმიელ სპორტსმენებს რამდენის გაკეთება შეუძლიათ ქართული სპორტისათვის — ესეც ხომ ვიცით! სულ მიშვებულია ფიზიკური აღზრდა და სპორტული მუშაობა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში — ეს ხომ კარგად ესმით განათლების სამინისტროში, მოზარდი თუ ახალგაზრდა ფიზიკურად როგორ უნდა იყოს განვითარებული. მე მინდა ვთხოვო ჩამოთვლილი დარგების მინისტრებს, მათი დაკავებულობის მიუხედავად, გამონახონ დრო და მეტი ყურადღება დაუთმონ თავიანთ სამინისტროებში სპორტულ ცხოვრებას.

ცალკე მინდა ვთქვა ნულამდე დასულ სოფლის სპორტზე. თითქმის ჩაკვდა სოფლად ეროვნული სპორტული სახეობები. სოფლად სპორტს საზოგადოება „შევარდენმა" უნდა უხელმძღვანელოს, მას ჰყავს ენერგიული, მონდომებული თავმჯდომარე **ბეჟან გუგავა**. მე ვიცი სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის **ბაკურ გულუას** გულისხმიერებისა და სპორტისადმი დამოკიდებულების შესახებ და ასევე მინდა ვთხოვო დაეხმაროს, თანადგომა გაუწიოს საზოგადოებასა და მის თავმჯდომარეს.

— ქართული სპორტის თავკაცები სპორტის კანონის უქონლობასაც ხშირად იმიზეზებენ. რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენს ქვეკომიტეტში, წლეულს თუ მაინც გვექნება ეს კანონი? და თუ გვექნება, რას შეცვლის და მოგვცემს — გარდა იმისა, რომ ხსენებული მიზეზი მოიხსნება?

— მოკლე ხანში მომზადდა სპორტის კანონპროექტი, რაც წინა პარლამენტს არ გაუკეთებია. კანონპროექტმა გაიარა ყველა ინსტანცია და სექტემბრის დასაწყისში ალბათ გავა პარლამენტზე განსახილველად.

კანონი იმას მოგვცემს, რომ ამ სფეროში გვექნება მყარი საკანონმდებლო ბაზა, გვეცოდინება, ვინ რა უნდა აკეთოს — დეპარტამენტმა, საზოგადოებებმა, კლუბებმა. ყველას ექნება შესაბამისი სამუშაო გეგმები.

— წმინდა სპორტული თვალსაზრისით, რა იყო თქვენი ყველაზე ძლიერი ტელეეკრანული შთაბეჭდილებები ატლანტიდან?

— **მაიკლ ჯონსონი** — რბენა 200 და 400 მეტრზე; **ალექსანდრე პოპოვი** — თავისუფალი სტილით ცურვა 50 და 100 მეტრზე; **კახი კახიაშვილი, იგივე აკაკიოს კახიაშვილისი** — ფანტასტიკური მსოფლიო რეკორდი; **ესპანეთის ნაკრები წყალბურთში** — დამაჯერებლად, დამსახურებულად რომ მოიპოვა ჩემპიონობა. ფინალური მატჩი მე მთლიანად ვნახე.

— ბატონო ნოდარ, ახლავე რომ შემოგთავაზონ სათანადო პირობები და სიდნეისათვის წყალბურთელთა ნაკრების მომზადება დაგაკისრონ — მოჰკიდებდით ამ საქმეს ხელს?

— მრავალი წელი თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი გახლდით, რამდენიმე წელი — საბჭოთა კავშირის ნაკრებისა, ასე რომ, გამოცდილება დიდი მაქვს. ჩემი აზრით, საქართველოში შეიძლება კი არა, აუცილებელიც არის კარგი გუნდის მომზადება, იმიტომ, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, წყალბურთი უყვართ, ამასთანავე ეს სახეობა ტრადიციულია ფეხბურთსა და კალათბურთთან ერთად.

ჩვენ წყალბურთი ახლა ფაქტობრივად ნულიდან უნდა დავიწყოთ, 12-13-14 წლის ბავშვები უნდა შევარჩიოთ, პირობები უნდა შევუქმნათ. ვინ, რომელი ორგანიზაცია გადაიხდის ფულს ამ პირობების შესაქმნელად? ცივი და ცხელი წყალი გვინდა, გვინდა შუქი, გათბობა, ინვენტარი. ყველაფერი ძალიან ძვირია, წყალბურთის ბურთები, წყალბურთელის ქუდიც კი, — მთელი კომპლექტი ათას დოლარამდე ღირს. პირობები თუ იქნება, 2000 წლისათვის შეიძლება მომზადდეს გუნდი, რომელიც კარგად გამოვა ასაკობრივ კატეგორიებში ევროპის ან მსოფლიოს პირველობებზე, ოლიმპიადაზე კი ვერა. აი, 2004 წლისათვის ოლიმპიადაზე კი ნამდვილად შეიძლება ფიქრი.

უფრო გონივრული იქნება, ეს საქმე ახალგაზრდა მწვრთნელებს მივანდოთ. მე შემიძლია დავეხმარო მათ ბავშვების შერჩევაში, წვრთნაში, მომზადებაში, ვასწავლო, სწორ გზაზე დავაყენო — ერთი სიტყვით, სასარგებლო, გამოსადეგი ვიყო...

* * *

...ამგვარი გამოგვივიდა გასაუბრება ნოდარ გვახარიასთან — წარსულში სახელგანთქმულ წყალბურთელთან და ამჟამად პასუხსაგები თანამდებობის პირთან. ჩვენ ერთმანეთს მადლობა გადავუხადეთ და ბატონმა ნოდარმა მკითხველთან „დამაბარა" — არ ვიცი, ჩვენი დიალოგი რამდენად საინტერესო მოეჩვენება, მაგრამ თუ „საქართველოს რესპუბლიკის" 14 აგვისტოს ნომერში გურამ ძაგანიას წერილი „მეხუთე ბორბალი?" არ წაუკითხავს, ეურჩევ გაეცნოს, იქ არაერთი საყურადღებო და კარგი წინადადებაა წამოყენებულიო...

თამაზ ეგანოიძე.



პროფესიონალიზმი
თუ არ დამკვიდრდა,
საქმე წინ
ვერ წავა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი ოლიმპიური ატლანტიდან.

სპეციალურად „საქართველოს რესპუბლიკისათვის".

სააქციო საზოგადოება
„ჯი და ჯი"
გთავაზობთ

იაპონური წარმოების
600 წერტილიან კომპაქტურ ლაზერულ პრინტერს

OKIPAGE 4W

ფასი 790 ლარი

საზოგადოება იძლევა 6 თვიან გარანტიას
ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი

ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. № 4, ტელ: 93-38-34, 93-38-04

სააქციო საზოგადოება
„ჯი და ჯი"
გთავაზობთ

საუკეთესო ტელე-ფაქსს
ყველაზე იაფად

SAMSUNG SF-30

ფასი 420 ლარი

საზოგადოება იძლევა 6 თვიან გარანტიას
ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი

ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. № 4, ტელ: 93-38-34, 93-38-04

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ჭობულია ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები -
„საქართველოს
რესპუბლიკის"
ჟურნალისტები

ნომრის მორიგე
რედაქტორი
ბონდო
მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს"
სტამბაში ხოშარაულის 29.